გაზეთი ზევრის, „ვერსიის" ერთი

ვერსია

№18 (1608) 11 — 17 მაისი ოთხშაბათი 2022 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

დედინაცვალმა ახალგაზრდა გერი საკუთარი თავსაფრით გაგუდა

პუტინის მზადება დამარცხებისთვის

ჰიტლერის ფაშიზმიდან პუტინის „რაშიზმამდე“

როგორ ვებრძოლოთ ომით მიღებულ სტრესულ აშლილობას

„მიშას უნდა ჭამა და ვერ ჭამს!“

რა ხდება ენმ-ში – გიორგი ჩალაძის პასუხები „ვერსიის“ მწვავე კითხვებზე

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

პოლიციამ ასპინძაში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1986 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ა.ნ., დაბა ასპინძაში დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 5 მაისს, დაბა ასპინძაში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღით კისრის არეში ჭრილობა მიაყენა თანასოფლელს, 1986 წელს დაბადებულ ი.მ.-ს, რომელიც შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული ა.ნ. მომხდარიდან მალევე, შემთხვევის ადგილთან ახლოს დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს ჩეხი ექსპერტები ეწვივნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს, სამუშაო ვიზიტით, ჩეხეთის რესპუბლიკის პოლიციის პრეზიდიუმის კრიმინალური პოლიციის ბიუროსა და საგამოძიებო სამსახურის ოთხი ექსპერტი ესტუმრა.

ვიზიტის მიზანი იყო სამართალდამცავი უწყებების საქმიანობის ხელშეწყობა და ცნობიერების ამაღლება დანაშაულის ეფექტიანად გამოძიების კუთხით.

სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, ჩეხმა ექსპერტებმა შეხვედრები გამართეს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტისა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან.

შეხვედრებზე მხარეებმა განიხილეს შემდეგი საკითხები: დანაშაულის ადგილის შესწავლა, სისხლის კვალი და მისი დოკუმენტირება, დნმ-ის, თითის ანაბეჭდებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოკვლევა, ასევე, უცხოურ მონაცემთა ბაზებთან შედარება.

ჩეხი ექსპერტები საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის მუშაობის სპეციფიკას ადგილზე გაეცნენ და შესაბამისი ლაბორატორიები დაათვალიერეს.

ვიზიტის დასასრულს, ჩეხურმა მხარემ ქართველი ექსპერტები საპასუხო ვიზიტით ჩეხეთის რესპუბლიკაში მიიწვია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა ბოლო წლების საქმიანობის ანგარიში წარადგინა

შინაგან საქმეთა სამინისტროში, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ბოლო წლების საქმიანობის ანგარიშის პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიება საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის, ვაჟა სირაძის მისასალმებელი სიტყვით გაიხსნა.

ანგარიშის პრეზენტაციას დაესწრნენ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეები – ალექსანდრე დარახველიძე და გიორგი ბუთხუზი, ასევე, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ღონისძიებაზე ვაჟა სირაძემ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხორციელებულ ღონისძიებებზე, მნიშვნელოვან პროექტებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

როგორც საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა აღნიშნა, საპატრულო პოლიციის ფუნქციონალური გაუმჯობესების მიზნით, უკვე განხორციელდა სხვადასხვა სახის ტექნიკური პროექტი, აგრეთვე, მოხდა პატრულ-ინსპექტორების გადაიარაღება და მათი ახალი სამხრე ვიდეოკამერებით აღჭურვა, გაიზარდა საპატრულო პოლიციის სამოქმედო არეალი, შესაბამისად, გაიზარდა საპატრულო ეკიპაჟების რაოდენობაც. საპოლიციო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, უახლოეს პერიოდში, ფუნქციონირებას დაიწყებს ერთიანი მომსახურების ცენტრი შიდა ქართლის რეგიონში. ერთიანი მომსახურების ცენტრების მოწყობა იგეგმება ბათუმში, ქუთაისსა და თელავში.

სიტყვით გამოსვლისას, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა, ვაჟა სირაძემ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის ჩართულობით განხორციელებულ და დაგეგმილ პროექტებზე გაამახვილა ყურადღება და მათ მხარდაჭერისთვის, ეფექტიანი თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა.

ვახტანგ გომელაური სომხეთის უშიშროების საბჭოს მდივანს შეხვდა

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივანმა, ვახტანგ გომელაურმა სომხეთის რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს მდივანთან, არმენ გრიგორიანთან შეხვედრა გამართა.

ვახტანგ გომელაურმა სომეხ კოლეგას საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურა და ამ მიმართულებით, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მანდატი გააცნო.

მხარეებმა რეგიონული უსაფრთხოების გარემო მიმოიხილეს. ყურადღება უკრაინაში მიმდინარე პროცესების განხილვას დაეთმო.

ხაზი გაესვა სამხრეთ კავკასიის რეგიონის სტაბილური განვითარებისთვის მშვიდობისა და თანამშრომლობის აუცილებლობას, ასევე, რეგიონული დიალოგის განვითარების მნიშვნელობას ეკონომიკის, ვაჭრობის, კულტურისა თუ სხვა მიმართულებით.

ვახტანგ გომელაურმა და არმენ გრიგორიანმა, უსაფრთხოების მიმართულებით, ორი ქვეყნის უწყებებს შორის არსებული თანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელობაზეც ისაუბრეს. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსი, გივი თუმანიშვილი, საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილე, გიორგი ღიბრაძე, სომხეთის რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს მდივნის მრჩეველი, არშაქ მუსახანიანი და საქართველოში სომხეთის რესპუბლიკის ელჩი, რუბენ სადოიანი.

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია დაათვალიერეს და სასწავლო პროცესს გაეცნენ

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის და ნდობის ჯგუფის წევრებს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში უმასპინძლა. ალექსანდრე დარახველიძემ და აკადემიის რექტორმა, ივანე პაპიაშვილმა, მოადგილეებთან ერთად, დეპუტატებს მიაწოდეს ინფორმაცია აკადემიის საქმიანობის შესახებ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია პირველი პროფესიული სასწავლებელია, რომელსაც 2020 წელს განათლების სფეროში ხარისხის მართვის ISO სერტიფიკატი გადაეცა. დეპუტატებმა ასევე მიიღეს ინფორმაცია, თუ როგორ ხვდებიან შსს-ს აკადემიაში მსმენელები, როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, როგორია სასწავლო პროგრამები, რა ბენეფიტებით სარგებლობენ აკადემიის მსმენელები და როგორია აკადემიის სამომავლო გეგმები.

დეპუტატები სასწავლო პროცესს გაეცნენ, დაათვალიერეს სიმულაციური სასწავლო სივრცე, გარე სპორტული სივრცე, „შუთჰაუსი“ – ტაქტიკური სივრცე, ვირტუალური ტირი, თანამედროვე სტანდარტებით აგებული ახალი ტირი, სიმულაციური სასაზღვრო გამშვები პუნქტი, საგამოცდო ცენტრი და შსს-ს არქივი.

აკადემიის სტუმრებმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპული პოლიციელების მემორიალი გვირგვინით შეამკეს.

პუტინის მზადება დამარცხებისთვის

ნინო დოლიძე

ახლახან, მსოფლიომ ფაშიზმზე გამარჯვების 77-ე წლისთავი აღნიშნა, თუმცა თუ გულწრფელები ვიქნებით და რეალობას თვალს გავუსწორებთ, პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ფაშიზმი არ დამარცხებულა ანუ თუ შვიდი ათეული წლის წინ, დედამიწაზე ჰიტლერული ფაშიზმი მძვინვარებდა, დღეს, 21-ე საუკუნეში, პუტინური „რაშიზმის“ მომსწრენი ვართ. გასაგებია, რომ ვიღაცებს პუტინის გულქვაობაში ეჭვი ეპარებათ და კრემლის პროპაგანდას აყოლილები, იგივე, ბუჩას ჯოჯოხეთის გამართლებას ცდილობენ, მაგრამ თანდათან ნათელი ხდება, რომ ვლადიმერ ვლადიმერის ძის დღეები დათვლილია და, პარალელურად, სულს ქართველ პუტინისტთა შემართებაც ღაფავს. დიახ, გმირმა უკრაინელებმა მსოფლიოს დაანახეს, რომ რუსული არმიის უძლეველობა ჩვეულებრივი მითია და ამასთან, პუტინიც ერთი შეშლილი დიქტატორია და მეტი არაფერი!



ჰიტლერის ფაშიზმიდან პუტინის „რაშიზმამდე“

სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც ოკუპანტები უკრაინაში შეიჭრნენ, ღიად თუ კულუარულად ვრცელდებოდა ცნობა, რომ პუტინი 9 მაისს, კიევის თავზე რუსულ დროშას ააფრიალებდა, მაგრამ ყოველთვის ისე არ წვიმს, როგორც ქუხს ანუ წლევანდელი 9 მაისი, შესაძლოა, პუტინის დასასრულთან მიახლოების ათვლის წერტილად ჩავთვალოთ.

რატომ? – ამ კითხვაზე არგუმენტირებული პასუხის გაცემა სხვადასხვა მაგალითის მოყვანით შეიძლება, მაგრამ თავი რომ არ შეგაწყინოთ, ხაზს მხოლოდ ერთ თვალშისაცემ გარემოებას გავუსვამ.

მოკლედ, ყველამ კარგად ვიცით, რომ ვოვა, საკუთარი უძლეველობის დასამტკიცებლად, უკან არაფერზე იხევს და სწორედ ამიტომ, რამდენჯერმე იმაზეც მიანიშნა, აი, თუ უკრაინელები ჭკუით არ იქნებიან, თითს ბირთვული იარაღის ღილაკს დავაჭერო. შეშლილი დიქტატორისგან გამორიცხული და გასაკვირი არაფერია, მაგრამ ბირთვული იარაღი კი არა, კრემლის დიქტატორმა იმდენიც ვეღარ შეძლო, რომ ფაშიზმზე გამარჯვების 77-ე წელს, მოსკოვის ცაზე საჰაერო აღლუმი მოეწყო.

ოფიციალური ცნობით, საჰაერო აღლუმი უამინდობის გამო გადაიდო, თუმცა ისინი, ვინც პოლიტიკაში ძალიან კარგად ერკვევიან, ამ ვერსიას ხუმრობითაც არ იზიარებენ და პირდაპირ ამბობენ, რომ სამხედრო თვითმფრინავების „დემონსტრირებაზე“ უარის თქმა პუტინის ერთგვარ უკან დახევას ნიშნავს.

ასე, მაგალითად, სამხედრო ექსპერტი, ოლეგ ჟდანოვი, რომელთან ინტერვიუც OBOZREVATEL-მა გამოაქვეყნა, დარწმუნებულია, რომ აღლუმის საჰაერი ნაწილი პუტინმა დასავლეთის ზეწოლით გააუქმა.

„ვფიქრობ, რომ აღლუმის საჰაერო ნაწილი დასავლეთის მხრიდან პუტინისთვის წაყენებული ულტიმატუმის გამო გაუქმდა. პუტინმა ბირთვული იარაღის შესაძლო გამოყენების თემის აგორება დაიწყო და ის გააფრთხილეს, რომ განიხილება მისი პირადი ლიკვიდაციის საკითხი. ასევე, საუბარია სანქციებზე მის უშუალო გარემოცვაზე. შეხედეთ, როგორ ერთხმად დაიწყეს რუსმა ჩინოვნიკებმა საუბარი იმაზე, რომ ისინი ბირთვული იარაღის გამოყენებას არც არასოდეს გეგმავდნენ“, – აცხადებს ჟდანოვი.

სამხედრო ექსპერტის მოსაზრება უსაფუძვლო არ უნდა იყოს, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა 9 მაისამდე, წეღანდელი თქმისა არ იყოს, ვრცელდებოდა ხმა, რომ ფაშიზმზე გამარჯვების დღეს, აღლუმის დროს, წითელი მოედნიდან Il-80 Maxdome გაფრინდებოდა. ეს პუტინის ე.წ. სპეცთვითმფრინავია, რომელიც „განკითხვის დღის“ სახელითაცაა ცნობილი. ეს თვითმფრინავი წითელ მოედანზე, ბოლოს, 2010 წელს გამოჩნდა. ხომალდის ბორტიდან, ბირთვული საფრთხის შემთხვევაში, პუტინს რუსეთის ფედერაციის გაკონტროლება შეუძლია.

ერთი სიტყვით, ყველა პირობა არსებობს, რომ უკრაინაში პუტინი დამარცხდება, თუმცა ისიც ნათელია, რომ კრემლი ამას არ აღიარებს და შეეცდება, საკუთარი მარცხი რაღაცით გადაფაროს.

რა შეიძლება იყოს, ეს „რაღაც“?

რამდენიმე დღის წინ გავრცელდა არაოფიციალური ინფორმაცია, რომ პუტინი თავს, შესაძლოა, მოლდოვას დაესხას. თანამედროვე ჰიტლერისგან გამორიცხული, ცხადია, არაფერია, მაგრამ სამხედრო ექსპერტები და პოლიტიკის ანალიტიკოსები თვლიან, რომ მოლდოვაში შეჭრა პუტინისთვის ხარაკირის ტოლფასი იქნება და აი, რატომ:

ცნობილია, რომ მოლდოვას მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილს ორმაგი მოქალაქეობა აქვს ანუ ადგილობრივები მოლდოვის პარალელურად, რუსეთის მოქალაქეებიც არიან. თავდასხმის შემთხვევაში კი გამოვა, რომ პუტინმა ომი საკუთარ მოქალაქეებს გამოუცხადა. შესაბამისად, იმის მტკიცება, აი, სპეცოპერაციას ხალხის კეთილდღეობისთვის ვატარებო, კრემლს აღარ გამოუვა.

სხვათა შორის, ბოლო წუთამდე, კრემლი და მისი პროპაგანდისტები აცხადებდნენ, რომ უკრაინაში ომი კი არ მიდის, არამედ, ტერორისტებისა და ფაშისტების წინააღმდეგ, ხალხის კეთილდღეობიდან გამომდინარე, სპეცოპერაცია ტარდება, თუმცა 9 მაისს ცნობილი გახდა, რომ პუტინმა სპეცოპერაციას სახელი შეუცვალა და „აგრესიის წინასწარი მოგერიება“ დაარქვა.

„ამ დღეებშიც, თქვენ იბრძვით ჩვენი ხალხისთვის დონბასში და ჩვენი სამშობლოს, რუსეთის უსაფრთხოებისთვის“, – თქვა პუტინმა 9 მაისის აღლუმზე სიტყვით გამოსლისას და დამსწრე საზოგადოებას ისიც აცნობა, თუ როგორ შესთავაზა დასავლეთს უსაფრთხოების გარანტიებზე შეთანხმება და როგორ მოუწოდებდა „გონივრული, კომპრომისული გადაწყვეტილებებისკენ“, თუმცა „ნატოს ქვეყნებმა არ ისურვეს რუსეთის მოსმენა“, რადგან სინამდვილეში, სხვა გეგმები ჰქონდათ.

აღლუმზე პუტინმა ისევ ახსენა უკრაინის მიერ დაგეგმილი **„სადამსჯელო ოპერაცია დონბასში“** და თქვა, რომ მზადდებოდა შეჭრა რუსეთის **„ისტორიულ მიწებზე, ყირიმის ჩათვლით“.**

„ყველაფერი მეტყველებდა იმაზე, რომ შეტაკება გარდაუვალი იქნებოდა ნეონაცისტებთან, ბანდერელებთან, რომლებზეც ფსონს დებდნენ აშშ და მისი უმცროსი კომპანიონები“, – განაცხადა პუტინმა და დაამატა, რომ უკრაინაში ომის დაწყება **„იძულებითი, დროული და ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება“** იყო.

მოკლედ, იმ შემთხვევაში, თუ მოარული ხმა გამართლდა და პუტინმა სამხედრო იერიში მოლდოვაზეც მიიტანა, ცხადია, ვეღარ იტყვის, რომ სადამსჯელო ოპერაცია ნეონაცისტების წინააღმდეგ დაიწყო, რადგან წეღანდელი თქმისა არ იყოს, მოლდოვას მოსახლეობის უმეტესობას ორმაგი მოქალაქეობა აქვს. ამასთან, მოლდოვაში ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებიც მრავლად ცხოვრობენ, შესაბამისად, ამ ქვეყანაზე თავდასხმა კრემლის მიერ ირიბად იმის აღიარება იქნება, რომ ომს პირდაპირ ევროკავშირს უცხადებს.

სხვა დროსა და სიტუაციაში, კრემლს ევროკავშრთან ომის დაწყება, შესაძლოა, გაებედა, მაგრამ იმ ფონზე, როცა იგივე უკრაინაში „უძლეველ“ რუსულ ტანკებს ბოშები „პანტა-პუნტით“ იპარავენ, ძნელი წარმოსადგენია, პუტინმა ახალი ფრონტის წამოწყება გაბედოს, თუმცა ეს დამშვიდების საშუალებას სულაც არ იძლევა ანუ დიქტატორების ანატომიის გათვალისწინებით, პუტინი შეეცდება, რომ საკუთარი მოსახლეობის თვალში დამარცხებულის იმიჯი არ ჰქონდეს და ამიტომაც, ფონს გასვლას ფეიკწარმატებით შეეცდება. საამისოდ კი, შესაძლოა, კავკასია გამოიყენოს, ესე იგი, 2008 წლის სცენარი გაითამაშოს და საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში პატარა პროვოკაცია მოაწყოს.

მართალია, სამხედრო ექსპერტები ამ ვერსიას უშვებენ, მაგრამ იქვე დასძენენ, რომ ვლადიმერ ვლადიმერის ძე ასეთ ავანტიურაზე წასვლას თუნდაც იმიტომ ვეღარ გაბედავს, რომ უკრაინაში რუსულმა არმიამ არნახული ადამიანური თუ ტექნიკური დანაკარგი განიცადა. ამასთან, დასავლეთისგან დაწესებული ეკონომიკური თუ სხვა ტიპის სანქციები „ველიკოდერჟავას“ წელში გატეხს და შესაძლოა, საქმე იქამდეც კი მივიდეს, რომ მოსკოვის შუაგულში, დიდმა სახალხო მღელვარებამ იფეთქოს ანუ პუტინის წინააღმდეგ ომი თავად რუსებმა დაიწყონ. ეს კი დიქტატორისთვის გამანადგურებელი დარტყმა იქნება.

საერთოდ, მსოფლიო ისტორია ნათელჰყოფს, რომ დიქტატორების ბოლო ცუდი, ძალიან ცუდია. ამ მხრივ გამონაკლისი, ალბათ, არც პუტინი იქნება და მისი პოლიტიკური მზეც, ადრე თუ გვიან, ჩაესვენება!

თათია გოჩაძე
598-43-50-34

„მიშას უნდა ჭამა და ვერ ჭამს!“

რა ხდება ენმ-ში – გიორგი ჩალაძის პასუხები „ვერსიის“ მწვავე კითხვებზე

საქართველოს მესამე პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის ბრძანებით შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა 27 აპრილს დასკვნა გამოაქვეყნა, სადაც აღნიშნულია, რომ ბოლო ვიზიტთან (11.01.2022) შედარებით, პაციენტის მდგომარეობა დამატებით მნიშვნელოვნადაა გაუარესებული:
„საკვების მიღების შემცირება (იღებს დღე-ღამეში საჭირო კალორიებზე გაცილებით ნაკლებს, დღიური დოზის 1/4-1/3-მდე, წონის 8 კგ-ის კარგვით 1 თვეში) და შერჩევითად ცილოვან პროდუქტებზე უარის თქმა – აუტანლობის მიზეზით; ცილოვანი შიმშილის ფონზე განვითარებული გამოხატული და მნიშვნელოვანი კუნთების განლევა და სისუსტე; ცხოვრების ხარისხისა და ფუნქციონერების ეფექტურობის მნიშვნელოვანი დაქვეითება“.
მიხეილ სააკაშვილის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გადაყვანას ითხოვს მისი ოჯახი, ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში კი საპროტესტო აქციებს აანონსებენ. კულუარული ინფორმაციით, პარტიაში სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით დიდი დაპირისპირებაა, რასაც, გარკვეულწილად, ბოლო დროს, პარტიის ცალკეული წარმომადგენლების მხრიდან თვითკრიტიკული გამოსვლებიც ადასტურებს. მიხეილ სააკაშვილის საქმესთან დაკავშირებით, „ვერსია“ ენმ-ის ერთ-ერთ ლიდერ გიორგი ჩალაძეს ესაუბრა.

– ბატონო გიორგი, ბოლო დროს, მედიასთან რატომ აღარ ჩანხართ?

– სტრასბურგში ვიყავით მე და ქალბატონი გიული (ალასანია, – რედ.), შეხვედრები გავმართეთ ევროპარლამენტარებთან. არ ვიცი, ვინ ვერ დამინახა, მაგრამ აქ მნიშვნელოვანი არაფერია, გარდა სააკაშვილისა. ვხვდებით ევროპარლამენტარებსა და ევროპის ინსიტიტუტების წარმომადგენლებს, შესაბამისად, ვაკეთებ ამ საქმეს.

– მათ სააკაშვილის საქმეზე ესაუბრეთ?

– დიახ, რა თქმა უნდა. ერთადერთი საქმე, რომელზეც შეიძლება, ვინმე მუშაობდეს, მიშა სააკაშვილის ჯანმრთელობაა. რამდენი დღე, საათი თუ კვირა გვაქვს დარჩენილი, არავინ იცის. სირცხვილია, სიკვდილმისჯილი არ არის მიშა სააკაშვილი!

– ითხოვთ, რომ სამკურნალოდ ევროპის რომელიმე საავადმყოფოში გადაიყვანონ...

– ჩემი კი არა, ეს საზოგადოებისა და მთელი მსოფლიოს მოთხოვნაა, რომ რუსეთმა უნდა შეწყვიტოს ბავშვების ხოცვა. ასევე, მიშა სააკაშვილი უზრუნველყოფილი უნდა იქნას ჯანმრთელობის დაცვით. სირცხვილია, რომ ამ ელემენტარულს ვითხოვთ, სამწუხაროდ, აფრიკაში არ ხდება ის, რაც დღეს, საქართველოში ხდება.

– თქვენს პარტიაში აქციებს აანონსებენ, ამას ემხრობით?

– არ ვიცი, რა გეგმებზეა საუბარი, რადგან სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქმით ვიყავი ამ დღეებში დაკავებული და არ მქონია ინტენსიური კომუნიკაცია, ამიტომ პარტიის სხვა წარმომადგენლებს ჰკითხეთ უფრო დეტალური ინფორმაციისთვის. სიმართლე გითხრათ, დაგვიანებული მგონია რეაქცია. ჩემი აზრით, 14 ოქტომბრის აქცია არ უნდა დაშლილიყო და რა დაკვეთაც იყო საზოგადოებაში, ასე არ უნდა დასრულებულიყო – ესაა ჩემი პოზიცია. მგონია, რომ დაგვიანებულია და ყველაფერი უნდა გაკეთდეს ყველგან, არა მარტო ნაციონალურ მოძრაობაში, რადგან მიშა სააკაშვილი არავის კუთვნილება არ არის, ის საქართველოს მესამე პრეზიდენტია. ყველა უნდა გაინძრეს და გააკეთოს მაქსიმუმი. დაგვიანებული განძრევა სჯობს, საერთოდ არგანძრევას, მაგრამ რაც უფრო მალე ვიზამთ, მით უკეთესი.

– დაგვიანებაში რას გულისხმობთ? ეს თქვენს პარტიაში აზრთა დაპირისპირებაზე მიუთითებს, მოქმედების გეგმასთან დაკავშირებით?

– პარტიაში კი არა, საზოგადოება უნდა ჩამოყალიბდეს. საზოგადოება გველის ნაკბენივითაა გაშეშებული და აუცილებლად უნდა გაიღვიძოს! ეს არის რუსული დაკვეთა, ზუსტად ესაა „ვორონცოვის პოლიტიკის“ შედეგი.

– გასაგებია, მაგრამ მნიშვნელოვანია, როგორ იქცევა ასეთ ვითარებაში ოპოზიცია და მით უმეტეს, თქვენი პარტია, რომელიც ყველაზე მრავალამომრჩევლიანი ოპოზიციური ძალაა. სხვათა შორის, უკვე თვითკრიტიკასაც ვისმენთ და თქვენი პოზიციაც მაინტერესებს – გაქვთ რამე პრეტენზია თქვენი პარტიის ლიდერშიფის მიმართ?

– შიდა საუბრების გამოტანა სწორი არ მგონია და ყურადღება არ უნდა გადავიდეს არაფერზე, მიშა სააკაშვილის ჯანმრთელობიდან. როცა სააკაშვილის ჯანმრთელობა მინიმალური სტანდარტით მაინც იქნება დაცული, ყველა კითხვას გაეცემა პასუხი პარტიაში. მენეჯერი არის პასუხისმგებელი ყველაფერზე. ჩემი კომპანია თუ მიდის წაგებაზე, მენეჯერია პასუხისმგებელი. შესაბამისად, მიშა სააკაშვილის ჯანმრთელობის საკითხი რომ მოიხსნება, შემდეგ ყველაფერი გაირკვევა.

– წეღან გკითხეთ, ბოლო დროს, მედიასთან აღარ აქტიურობთ-მეთქი, ხომ არ არის ამის მიზეზი თქვენი განაწყენება პარტიის ლიდერშიფის მიმართ?

– არა, ეს ბავშვური დამოკიდებულებაა, ამ საუბარში არ მინდა შემოსვლა. მე, ქალბატონი გიული და კიდევ რამდენიმე ადამიანი მუდმივად დავდივართ და ვხვდებით უცხოეთში სახელმწიფო მეთაურებს, უმაღლესი თანამდებობის პირებს, საერთაშორისო დიპლომატიის კორპუსის წევრებს. მიმაჩნია, რომ საქართველოში საკმარისზე მეტნი არიან ისინი, რომლებსაც შეუძლიათ, ადგილობრივი რესურსი გამოიყენონ, ჩემი რესურსი კი საერთაშორისო საზოგადოებასთან უფროა გამოსაყენებელი, ამიტომ მე და ქალბატონი გიული ამას ვაკეთებთ.

– როდესაც მენეჯერის პასუხისმგებლობაზე საუბრობთ, ვის გულისხმობთ – პარტიის თავმჯდომარეს, მდივანს?..

– ეს ჩვეულებრივი შედარებაა. მაგალითად, მიშას ცუდად ყოფნაზე ვინ არის პასუხისმგებელი? – ციხის ადმინისტრაცია, იუსტიციის მინისტრი, პარლამენტარები... ამას ვგულისხმობ. გირჩევთ, დაურეკეთ დავით სერგეენკოს, ისაა ექიმი და ჰკითხეთ, მოაწერს თუ არა, გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ამგვარი პაციენტის მკურნალობაზე ხელს, საქართველოში? ციხის ექიმის, ნანა მიქავას ადგილზე, ის იღებს თუ არა პასუხისმგებლობას მსგავს პაციენტზე?! თუ ვინმეს შერჩა საღი აზრი... სერგეენკო ექიმია და კარგად იცის სამედიცინო პასუხისმგებლობა... რაც შეეხება პარტიას, ყველა პარტიაშია თავისი ზარქუა, შესაბამისად, ჩვენც ჩვენი „ზარქუა“ გვყავს – ეს მენეჯერთან დაკავშირებულ კითხვაზე...

– კონკრეტულად, ვის გულისხმობთ?

– „ზარქუა“ ყველა პარტიას ჰყავს.

– მოკლედ, არ ასახელებთ კონკრეტულ პირს?

– მიშა არის ახლა მთავარი და არ მინდა, ყურადღება სხვა რამეზე გადავიდეს.

– კეთილი, თუმცა სახელისუფლებო გუნდის მხრიდან გვესმის შეფასება, რომ სააკაშვილმა უნდა მიიღოს ცილა, რათა არ იყოს ცუდად. შესაძლებელია, რომ ეს პრობლემა კვების რაციონიდან ცილის ამოღების გამო შექმნოდა?

– არა, ეს რეგვენის ნათქვამია და საერთოდ, ვისზე ვლაპარაკობთ? რა სახელისუფლებო გუნდი? – არანაირი სახელისუფლებო გუნდი არ არსებობს. არის ერთი კაცის თითების თეატრი, სადაც თოჯინა არაფერს ნიშნავს, მთავარია, ვის თითზე ჩამოეცმევა. შესაბამისად, იმას იტყვიან და იმ მოქმედებას განახორციელებენ, ვის თითზეც იქნებიან. ამიტომ, რას ამბობენ, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ივანიშვილმა და ივანიშვილს ელაპარაკება მხოლოდ სერგეენკო. მიშა დიეტაზე არ არის, მას უნდა ჭამა და ვერ ჭამს!

– რომ უნდა და ვერ ჭამს, ამას რა განაპირობებს – სტრესული მდგომარეობა?

– არა, ამას განაპირობებს დასკვნა, რომელიც დაწერილია რამდენიმე კომისიის მიერ. ამას განაპირობებს ის, რომ სახალხო დამცველის ხუთჯერ შესული კომისიის არც ერთი რეკომენდაცია არ არის გათვალისწინებული. სახალხო დამცველის რეკომენდაციები უგულებელყოფილია და ამას განაპირობებს „ქართული ოცნების“ დანაშაულებრივი ქმედება.

– ბატონო გიორგი, ამბობთ, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის მოგვარების შემდეგ, პარტიაში ყველაფერი გაირკვევაო. რას გულისხმობთ?

– კარგად მესმის, ყველას აინტერესებს, პარტიაში რამე ხომ არ ხდება. არა, არაფერი ხდება – ერთადერთი დღის წესრიგი მიშა სააკაშვილის ჯანმრთელობაა. თუ ვინმეს სხვა დღის წესრიგი აქვს, შეუძლია, დამოუკიდებელი პოლიტიკური აქტივებით განახორციელოს!

თათია გოჩაძე, 598-43-50-34

„თუ რუსეთი თავს არ დაგვესხა, დასავლეთის იმედი არ უნდა გვქონდეს“

რა ხდება სომხეთში და გადადგება თუ არა ფაშინიანი – მამუკა არეშიძის შეფასებები და პროგნოზები

სომხეთში, ნიკოლ ფაშინიანის წინააღმდეგ, საპროტესტო გამოსვლები არ ცხრება. „ჯემნიუსმა“ აზერბაიჯანელი პოლიტოლოგის, ელხან შაჰინოღლუს შეფასება გაავრცელა, რომელიც აცხადებს, რომ კრემლი ყოველნაირად ეწინააღმდეგება ოფიციალურ ერევანსა და ბაქოს შორის, დასავლეთის მხარდაჭერით დაწყებულ მოლაპარაკებას. შაჰინოღლუს აზრით, ერევანსა და სომხეთის სხვა ქალაქებში, მასობრივი საპროტესტო აქციების უკან, რუსეთიც დგას.

„ბრიუსელში, აზერბაიჯანის პრეზიდენტისა და სომხეთის პრემიერ-მინისტრის შეხვედრის შემდეგ, სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი და თავად ნიკოლ ფაშინიანი მოსკოვში იმყოფებოდნენ. იმ ვიზიტების დროს, მოლაპარაკებების პროცესში, აშკარად გამოიკვეთა, რომ რუსეთი უკმაყოფილო იყო ბრიუსელში შეხვედრით და მისი შედეგებით. ამის შემდეგ, სომხეთში საპროტესტო აქციები დაიწყო და მათი მთავარი მიზეზი პარლამენტში გამოსვლისას, ფაშინიანის სიტყვა გახდა. პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ სომხეთმა ყარაბაღის საკითხში მოლოდინის ზღვარი უნდა ჩამოსწიოს. ფაქტობრივად, მან მიანიშნა, რომ შეთანხმებების მიხედვით, მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანის შემადგენლობაში დარჩება. მიმდინარე საპროტესტო აქციების ერთადერთი მიზანი ფაშინიანის დამხობაა, მაგრამ ქუჩაში ამდენი ხალხი არაა და უმეტესობა ჩუმად ადევნებს თვალს მოვლენებს. ამჟამად, სომეხი ხალხი არჩევანს „ცუდსა“ და „უარესს“ შორის აკეთებს და ირჩევს „ცუდს“. „ცუდში“, ფაშინიანი იგულისხმება.

საინტერესოა, რომ სომხეთში, რადიკალური ოპოზიცია იმავე მეთოდებს იყენებს, რომლითაც 2018 წელს, ფაშინიანი მოვიდა ხელისუფლებაში. მაშინ მოქმედი პრემიერი ყველას ქუჩაში იხმობდა, ქალაქებში დადიოდა და მხარდამჭერებს კრებდა“, – ამბობს და პოლიტოლოგი დასძენს, რომ რეგიონში აშკარად იგრძნობა დაპირისპირება დასავლეთსა და კრემლს შორის. აღნიშნული საკითხებზე „ვერსია“ ანალიტიკოს მამუკა არეშიძეს ესაუბრა:

– სომხეთში, ერთი შეხედვით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ აქციებს მართავს პრორუსული ოპოზიცია. საერთოდ, იქ ორი პარტია აქტიურობს, რომელთა უკანაც ყოფილი პრეზიდენტები – ქოჩარიანი და სარქისიანი მოიაზრებიან, თუმცა ამ პროტესტში სხვა ძალებიცაა ჩართული. საინტერესოა აივაზიანის გუნდი, რომლის მთავარი გზავნილიც ბიოლაბორატორიების თემაა. სხვათა შორის, სომხეთში არაერთი ბიოლაბორატორიაა, რომელიც ამერიკელების მიერაა შექმნილი. ამ ლაბორატორიების წინააღმდეგ ილაშქრებს ეს ოპოზიციური ძალა, აივაზიანი კი ამ საპროტესტო აქციების ერთ-ერთი ლიდერია. აივაზიანი, ქოჩარიანი თუ სარქისიანი – ყველა ასოცირდება რუსეთთან. ამასთან, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფაშინიანს არასაპარლამენტო პოლიტიკურ პარტიებთან საკონსულტაციო საბჭო აქვს შექმნილი და ეს პარტიები დასავლური ორიენტაციისაა. რასაკვირველია, რუსეთი ამ პროცესში ჩართულია, მაგრამ საპროტესტო განწყობა საზოგადოებაში ისედაც არსებობდა და აქციები დაიწყეს არა პოლიტიკურმა ძალებმა, არამედ, ყარაბაღში დაღუპული ჯარისკაცების მშობლებმა.

სამხრეთ კავკასიის სივრცეში მიდის ძალიან აქტიური დაპირისპირება ერთი მხრივ – დასავლეთსა და რუსეთს, მეორე მხრივ – რუსეთსა და თურქეთს შორის, რადგან თურქეთი პერსონალურ მოთამაშედ გვევლინება. სხვათა შორის, რუსეთის შეცდომების ბრალია, რომ თურქეთი სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ სივრცეში, სამხედრო პოლიტიკური თვალსაზრისით, ასწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა. მარტო ეს სივრცე არაა, სადაც აქტიურია ამ ტიპის ბრძოლა, ირანშიც იგივე სიტუაციაა, დასავლეთ-რუსეთის ბრძოლის კონტექსტში.

– ბატონო მამუკა, რა ეტაპზეა ყარაბაღის საკითხთან დაკავშირებით, მხარეებს შორის მოლაპარაკება?

– ყარაბაღის მოვლენებზე მხარეებმა, ჯერჯერობით, ვერაფერზე მოილაპარაკეს. მართალია, რუსეთს არ აწყობს ბაქოსა და ერევანს შორის მოლაპარაკება და ყოველნაირად ცდილობს, ამ პროცესს ხელი არ შეუწყოს, რადგან არ სჭირდება სამშვიდობო პროცესის გააქტიურება სამხრეთ კავკასიაში. მაგალითად, კრემლში დიდი გაღიზიანება გამოიწვია ალიევის გამოსვლამ იმის თაობაზე, რომ შექმნილიყო სამხრეთ კავკასიური, სამ ქვეყანას შორის განსაკუთრებული ურთიერთობის სამშვიდობო და ეკონომიკური ფორმატი. ყველაფერი ეს, ერთმანეთშია აზელილი და ყველა ჩართულია, რომ შეთანხმება არ შედგეს და თავისი გავლენა არ შესუსტდეს.

– ანალიტიკოსები ხაზს უსვამენ, რომ ფაშინიანი, სწორედ ამ ვითარების გამო, დასავლეთთან მოლაპარაკებებს ააქტიურებს...

– ამას არ აქვს მნიშვნელობა. ვიცით, დასავლეთი როგორი დაკავებულიცაა და მიდგომის როგორი ფორმა აქვს – თუ შენ თვითონ არ შექმენი სერიოზული პრობლემა, რომელიც დასავლეთს დააინტერესებს, აღშფოთებისა და ტრიბუნის დონეს არ გასცდება. უკრაინელების მაგალითი, ამ შემთხვევაში, არ გამოდგება, რადგან გვახსოვს ომის დასაწყისი. დასავლეთი პროგნოზირებდა უკრაინელების 6 დღეში დამარცხებას, მაგრამ უკრაინელებმა ეს არ გაიკეთებინეს და ამიტომაა, რომ დღეს ზელენსკი და მისი ხელისუფლება ზედმეტად თავხედურად ექცევა დასავლეთს – ზუსტად იმიტომ, რომ კარგად იცის, რა გეგმაც ჰქონდა დასავლეთის ზოგიერთ პოლიტიკოსს.

– ამ ყველაფრიდან გამომდინარე, გამოდის, რომ ფაშინიანი ორმხრივი ზეწოლის ქვეშაა ახლა...

– სამმხრივი ზეწოლის ქვეშაა – მოსკოვიდან, დასავლეთიდან და საკუთარ ქვეყანაში არსებული ძალებიდან.

– თუ ასეა, რა გზა რჩება ოფიციალურ ერევანს საოქმედოდ?

– სწორედ მანდაა „ძაღლის თავი დამარხული“. ოფიციალური ერევნის მდგომარეობა საკმაოდ სუსტია, მაგრამ საზოგადოებაში აპათიის ძალიან მაღალი ხარისხია. საქართველოსი არ იყოს, საზოგადოება რომ ხედავს, ვინაა პროტესტის უკან მდგომი ძალების ხელმძღვანელი, არ ზრდის მხარდამჭერთა რიცხვს. აქედან გამომდინარე, მოსახლეობის გადამწყვეტი უმრავლესობა არც ერთს უჭერს მხარს.

– სადამდე მივა სომხეთში ეს პროცესები?

– თუ გარე ძალები არ ჩაერთნენ, ასეთი ვითარება იქნება კარგა ხნის განმავლობაში და შემდეგ, ალბათ, რაღაცაზე მოილაპარაკებენ. თუ გარე ძალები ჩაერთნენ, არაა გამორიცხული ფაშინიანის მარცხი. მას გადაყენებით ვერ გადააყენებენ, უბრალოდ, აქციების დაუმთავრებელი პროცესი თუ გაიწელება, არაა გამორიცხული, ფაშინიანმა არჩიოს გადადგომა, რადგან სტაგნაცია არ მოხდეს ქვეყანაში.

– ამ მწვავე ვითარებაში, რა პოზიცია უნდა დაიკავოს საქართველოს ხელისუფლებამ?

– საქართველოს ძალიან უჭირს, რამდენიმე ფრონტზე უწევს ბრძოლა – როგორც შიდა, ასევე, გარე ფრონტზე. საქართველომ ძალიან კარგი ფორმატი შესთავაზა სამხრეთ კავკასიას, თბილისში შექმნილიყო სამშვიდობო პლატფორმა და ჩართულია ამ პროცესში პრემიერ-მინისტრი, მაგრამ უკრაინის მოვლენებმა ვითარება შეცვალა. დღეს, საქართველოს ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობს, შეინარჩუნოს სტაბილური მდგომარეობა და ყველა ფრონტზე მაქსიმალური შედეგი მიიღოს, მაგრამ რესურსი ძალიან შეზღუდული გვაქვს. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი სიტყვიერად მხარს გვიჭერს, თუ რუსეთი თავს არ დაგვესხა, დასავლეთის იმედი არ უნდა გვქონდეს, მით უმეტეს, შიდა კონფლიქტების შემთხვევაში. პირდაპირ გეტყვით, როგორი მდგომარეობაცაა – საქართველოს პატარა ნაჭრები აზერბაიჯანსაც აქვს მიტაცებული და სომხეთსაც, კერძოდ, მარნეულის რაიონში, 2-3 კილომეტრი – აზერბაიჯანს და 500 მეტრი – სომხეთს. ჩვენს ტერიტორიაზე არიან შემოსულნი, რაც ნიშანდობლივი და დამახასიათებელი ფაქტია იმისა, რა ვითარებაცაა დღეს საქართველოში, რადგან ეს ის ტერიტორიებია, სადაც ერთმანეთს აკონტროლებენ სომხეთი და აზერბაიჯანი. 30 წელზე მეტია, ეს ტერიტორიები მიტაცებულია და ხმას არ ვიღებთ არც ჩვენ და არც ისინი. აზერბაიჯანს დანაღმულიც აქვს ჩვენი ტერიტორიები... კლასიკური მაგალითია ეს იმისა, თუ რა ვითარებაშიც ვართ. ყველაფერი – ურთიერთობები, მიდგომები დანაღმულია და როდის აფეთქდება, კაცმა არ იცის. ჩვენ მაქსიმალურად უნდა შევძლოთ ამ მდგომარეობაში სტაბილურობის შენარჩუნება და ამისთვის მნიშვნელოვანია, პოლიტიკური ელიტისა და საზოგადოების კონსოლიდაცია, რაც არ გვაქვს. თუ ეს არ მოხდება, საქართველოს მდგომარეობა ისედაც მძიმე იქნება, საქართველოს სჭირდება კონსოლიდაცია საზოგადოებისა, რისთვისაც საჭიროა იდეოლოგია, რომელიც არ გვაქვს.

როგორ ვებრძოლოთ ომით მიღებულ სტრესულ აშლილობას

ემილი ფეიქრიშვილი

ალბათ, ყველა ვიცნობთ ერთ ადამიანს მაინც, რომლის ცხოვრებაც წარსულის ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ, რადიკალურად შეიცვალა. მოვლენა ნებისმიერი სახის შეიძლება იყოს – ახლობლის გარდაცვალება, ძალადობა, სამხედრო კონფლიქტში მონაწილეობა, სიკვდილისთვის თვალებში ჩახედვა... ზოგი მატრავმირებელი გამოცდილების შემდეგ, ცხოვრების ჩვეულ რიტმს დამოუკიდებლად ვეღარ უბრუნდება, კარგავს სულიერ სიმშვიდეს, ეწყება უძილობა, ხდება ჩაკეტილი, დეპრესიული, აღენიშნება ძლიერი შფოთვა და ზოგჯერ – სუიციდური აზრებიც. ამგვარ მდგომარეობას პოსტტრავმული სტრესული აშლილობა (PTSD) ეწოდება და ფსიქიატრიაში ფსიქიკურ აშლილობადაა კლასიფიცირებული. როგორ ვმართოთ პოსტტრავმული სტრესი?

– „ვერსია“ ფსიქოთერაპევტს, პროფესორ ელენე ჯაფარიძეს ესაუბრა:

– ქალბატონო ელენე, იმ ადამიანების ფსიქოლოგიური მდგომარეობა როგორია, რომელთა თვალწინაც რუსეთ-უკრაინის ომის საშინელებები ხდება?

– ისეთი კრიზისული მდგომარეობის დროს, როგორიც ომია, პირველ ეტაპზე, ადამიანის მდგომარეობა შოკურია. ფსიქიკას ძალიან უჭირს იმის აღქმა და დაჯერება, რომ ეს რეალობაა. ამ დროს, ადამიანი საფრთხეს განიცდის და წარმოიშობა ორი რეაქცია – ან ვშეშდებით, ან გავრბივართ. სწორედ ამ რეაქციებს ვაწყდები ლტოლვილებშიც, რომლებთანაც ვმუშაობ, სრულიად შოკირებულნი, გაშეშებულნი არიან და ძალიან უჭირთ ნორმალურ მდგომარეობაში გადმოსვლა.

ამ მდგომარეობიდან გამოსვლას ისიც ართულებს, რომ როდესაც მატრავმირებელი ეფექტის მქონე მოვლენა ხდება, რჩება სასრულობის განცდა, თითქოს დაუჯერებელია, რომ ეს საშინელება დასრულდა.

ომი დროში განვრცობილი პროცესია და იქიდან გამოღწევის შემდეგ, ადამიანები სინანულს განიცდიან. განცდა, რომ რეალურად რაღაც დამთავრდა, არ აქვთ და ბუნებრივია, როდესაც პერმანენტულად, ძალიან დაძაბულ შფოთვით მდგომარეობაში იმყოფებიან.

ომის მონაწილეებში შეინიშნება უსაფრთხოების განცდის რღვევა, როგორც უფროსებში, ასევე, ბავშვებში. მათში ეს გრძნობა განსაკუთრებულია, რადგან ძალიან დიდი უნდობლობით არიან განწყობილნი ყველაფრის მიმართ.

ლტოლვილთა ბანაკში ყოფნა, როგორი მოწყობილიც უნდა იყოს, ერთ-ერთი ურთულესი მომენტია. სიახლესთან შეგუება, რომელიც არაა კომფორტული და არც სასიამოვნოსთან კავშირშია, ურთულესია.

– როცა შინ ბრუნდებიან, ომის მონაწილეების მდგომარეობა ოჯახის წევრებზეც ახდენს გავლენას. როგორ უნდა შეძლონ ოჯახის წევრებმა ამ მდგომარეობასთან გამკლავება?

– ეს ერთ-ერთი ურთულესი პროცესია, რადგან ადამიანი ბრუნდება ჯოჯოხეთიდან, აბსოლუტურად სხვა რეალობიდან და როგორც უნდა ვეცადოთ, შეუძლებელია, შევიგრძნოთ, რა გარემოში მოუწიათ მათ ყოფნა.

მაგალითად, ვეტერანებში ხშირია გაუცხოების მომენტი – აქ, მოცემულ დროს ვერ ცხოვრობენ, ვერ ივიწყებენ იმას, რაც ნახეს და გამოიარეს, აქვთ დისოციაციისა და უძლურების განცდა.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ დასრულდა ომი ანუ გამარჯვებული დაბრუნდა, თუ მიმდინარე პროცესი დატოვა. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, სწორად შევარჩიოთ მათთან საუბრის ფორმა. „არა უშავს, მთავარია, გადარჩი“, „დაივიწყებ“ – ეს არაა შესაბამისი სიტყვები, რისი მოსმენაც ადამიანს სჭირდება.

ამ დროს მნიშვნელოვანია, გულწრფელები ვიყოთ და გავიგოთ, რომ ადამიანს ახლა ასეთი მოცემულობა აქვს, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ, შეიძლება, გამოსწორდეს იმ თვალსაზრისით, რომ უფრო მეტად კონტაქტური გახდეს, დაუბრუნდეს ინტერესი, ჰქონდეს უფრო მეტი სურვილი მეგობრებთან, ახლობლებთან კომუნიკაციის, სოციალიზაციის, მაგრამ თუ ეს გარკვეული პერიოდის შემდეგ არ შეიმჩნევა და დინამიკაში პოზიტიური ცვლილებები არ ხდება, აუცილებელია სპეციალისტის ჩართვა, რადგან ტიპურ პოსტტრავმულ სტრესულ აშლილობასთან გვაქვს საქმე და რაც უფრო მალე დაიწყება ამ საკითხზე მუშაობა, პოსტტრავმული გამოცდილების სწრაფად დაძლევის მით უფრო მეტი შანსი გაჩნდება.

– პოსტტრავმული სტრესის სრულად აღმოფხვრა შესაძლებელია?

– როდესაც ადამიანი ძალიან მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაშია, სწორად დაგეგმილი ფსიქოთერაპიის შედეგად, შეიძლება, დაიბრუნოს საკუთარ თავზე დადებითი ფიქრები და სამყაროს მიმართ მეტი ნდობა გაუჩნდეს.

როდესაც გრძნობენ, რომ კონტროლი არაფერზე აქვთ და რაც უნდა გააკეთონ, ვერაფერს ცვლიან, ამ დროს, ურწმუნობისა და უიმედობის განცდა ჩნდება. ფსიქოთერაპიის შედეგად, შეიძლება, რომ ეს ფიქრები შეიცვალოს, გამოსწორდეს მეხსიერების პრობლემები, ჩაერთოს სიახლეებში, დაიბრუნოს ინტერესი ძველი საქმიანობების მიმართ.

ტრავმირებულ ადამიანს ბრაზი და აგრესია, რომელიც არ იცის, ვისზე გადაიტანოს, ხშირად ახლობლებზე გადააქვს, თუმცა ის რეალურად, მთელ სამყაროზეა გაბრაზებული. ასევე, დანაშაულისა და სირცხვილის შეგრძნება სჭარბობს, „გადარჩენილის დანაშაულის განცდა“ განსაკუთრებით იმ მებრძოლებს აქვთ, რომლებსაც დაეღუპათ თანამებრძოლი ანუ მათ რაციონალურად ესმით, რომ გადარჩენა შეუძლებელი იყო, მაგრამ ემოციურად ვერ იღებენ საკუთარ უსუსურობასა და უძლურობას. ამ ყველაფრიდან გამოსავალი არსებობს, მაგრამ იმის დავიწყება, რაც გადაიტანე, შეუძლებელია, უბრალოდ, შენი ცხოვრება აღარ იქნება ისეთი ტოქსიკური, რომ ყოველდღიურობა მოწამლოს და დარეგულირდება გარკვეული პრობლემები, რომლებიც პოსტტრავმულმა სტრესმა დატოვა.

ოჯახს, მეგობრებს ძალიან დიდი როლი აქვთ. ამ ადამიანის გამოცდილება არ უნდა გააუფასურონ, არ უნდა დააყენონ ჩვეულებრივი მოვლენები იმაზე მაღლა, რაც გადაიტანა, რადგან ასეთ შემთხვევაში, ადამიანი თავს კიდევ უფრო მარტო და უსუსურად გრძნობს.

– მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც უშუალოდ ომში არ მიუღია მონაწილეობა, მაგრამ ყველაფერი ეს, საკუთარი თვალით ნახა, როგორ უნდა ებრძოლოს სტრესს?

– რა თქმა უნდა, კრიზისის ინტერვენციაში გაცნობიერებულ ფსიქოლოგს უნდა მიმართონ. თვითრეალიზებას უნდა შეეცადონ, მოქმედება ძალიან მნიშვნელოვანია, რომ იგრძნოს, ცოცხალია, თუმცა უნდა გაიაზროს, რომ ლიმიტი აქვს, რათა ყველაფერმა ამან არ გამოიწვიოს მისი გამოფიტვა.

ძალიან კარგი იქნება, რომ ამ დროს, გვერდით გყავდეს ის, ვისთანაც საკუთარ სტრესზე ისაუბრებ. ადამიანს მოქმედება, მოძრაობა სიცოცხლის განცდას აძლევს.

ასე რომ, მნიშვნელოვანია, აკეთოს იმდენი, რაც შეუძლია და ფუნქციურობა შეინარჩუნოს იმისთვის, რომ დროში გაახანგრძლივოს საკუთარი ქმედებები.

ფრთხილად, თბილისში მოძალადე ბოშა ბავშვები დადიან!

„ტურისტს თავში ურტყეს, ფეხზე გახადეს, მიაფურთხეს და ჩანთა წაართვეს“ – რა მოხდა აღმაშენებელზე

ია გრიგალაშვილი

თბილისის ქუჩებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ტურისტულ ზონებსა თუ მიწისქვეშა გადასასვლელში, ხშირად შევხვდებით ბოშებს, რომლებიც თავს მოწყალების თხოვნით ირჩენენ. თითოეულ მათგანს საკუთარი „სტრატეგია“ აქვს, თუ როგორ მოიპოვოს ფული. ყველაფერ ამას, თითქოს შევეგუეთ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ბოშები აგრესიითაც გამოირჩევიან, განსაკუთრებით, ტურისტების მიმართ და ცდილობენ, მათ ფული გამოსძალონ. გარდა იმისა, რომ მათი საქციელი საკმაოდ არასასიამოვნოა, ყველაფერი ეს, ქვეყნის იმიჯზეც უარყოფითად მოქმედებს. ძნელი მისახვედრი არაა, რომ ტურისტი, რომელსაც მსგავსი რამ შეემთხვევა, მეორედ საქართველოში ჩამოსვლას აღარ მოინდომებს და საკუთარ ქვეყანაში ცუდი შთაბეჭდილებით დაბრუნდება.
მსგავსი არასასიამოვნო შემთხვევა რამდენიმე დღის წინ, აღმაშენებლის გამზირზეც მოხდა. როგორც „ვერსიას“ მოქალაქე მარიამ შეროზიამ განუცხადა, არასრულწლოვანი ბოშების ჯგუფი რამდენიმე ტურისტს დაესხა თავს და მათზე ფიზიკურადაც იძალადა:

– აღმაშენებლის გამზირზე, მეგობრებთან ერთად ვსეირნობდი. ამ დროს, ერთი ქალი მოგვიახლოვდა და გვითხრა, ფრთხილად იყავით, გოგოებო, ღამეა და აქ ხალხს ტელეფონებს აცლიანო. ზუსტად რამდენიმე წუთში, ბოშებმა ჩვენს თვალწინ, ორ ტურისტს თავში ურტყეს ხელები, გახადეს ფეხზე, მიაფურთხეს და ჩანთა წაართვეს. ძალიან გავბრაზდით, მათთან მივედით და ვუთხარით, შეეწყვიტათ თავდასხმა. გარშემო ბევრი ადამიანი იყო, თუმცა ეს ძალადობა არავინ შეიმჩნია. ბოშებმა ჩვენკენაც გამოიწიეს და დაგვემუქრნენ.

10 არასრულწლოვანი იყო, დაახლოებით, 14 წლამდე ასაკის, მათი ნაწილი ტურისტს ეჩხუბებოდა, ნაწილმა ჩვენკენ გამოიწია და ჩანთაზე გვექაჩებოდა, გვაგინა კიდეც. ვუთხარი, პოლიციაში დავრეკავ-თქო, მაგრამ მიპასუხეს, არ გვაინტერესებსო.

– მარიამ, პოლიციას მიმართეთ?

– დიახ, დავრეკე პოლიციაში. იმ ტურისტს მეგობარმა მოაკითხა და როგორღაც გაქცევა მოახერხეს. ამის შემდეგ, სხვა ტურისტებიც გამოჩნდენ და ახლა იმათ მიმართ დაიწყეს ძალადობა.

ამ ტურისტებს მობილური დაუმტვრიეს, დასცინოდნენ და მათი ნივთები გაანადგურეს, ტურისტმა ბიჭმა ველარ მოითმინა და ერთ-ერთ ბოშა ბავშვს სახეში გაარტყა. ბოშები მალევე მიხვდნენ, რომ ამათთან არაფერი გაუვიდოდათ და გაიქცნენ.

ამასობაში, პოლიციაც გამოჩნდა, დაგვკითხეს ადგილზე, მონაცემები ჩაინიშნეს, კიდევ ორი ახალი ეკიპაჟი მოვიდა. პოლიციელებმა თქვეს, რომ როცა ცდილობენ, ბოშები ტერიტორიას განარიდონ ან მათ წინააღმდეგ რაიმე მოიმოქმედონ, არასამთავრობო ორგანიზაციები და უფლებადამცველები ეწინააღმდეგებიან, ხელი არ მოჰკიდოთ ბავშვებს და არ გაარიდოთ ადგილიდან, არასრულწლოვნები არიანო...

შემდეგ გადაგვიყვანეს განყოფილებაში და ჩამომართვეს ჩვენება, რადგან ზარის ინიციატორი ვიყავი. დეტალურად გამომკითხეს ყველაფერი.

– რა ეტაპზეა გამოძიება?

– ჯერჯერობით, სიახლე არაფერია, სამი დღე გავიდა მხოლოდ, განყოფილებიდან ველოდები ზარს.

ძალიან ვწუხვარ, სხვა უამრავ პრობლემასთან ერთად, ასეთი მდგომარეობა რომაა ჩვენს ქვეყანაში. ბოშები არიან არალეგალები, რადგან არ აქვთ მაიდენტიფიცირებელი საბუთი/მონაცემები, მაგალითად, პასპორტი ან პირადობა. ბევრი მათგანი არასრულწლოვანია და შესაბამისად, სახელმწიფოს ბერკეტი არ აქვს მათ წინააღმდეგ.

როგორც ცნობილია, მსგავსი შემთხვევები ხშირად ხდება და არ არსებობს ბერკეტი, ისევ ხალხი უნდა გამოეხმაუროს ამ საკითხს და მოქალაქეებმა დაწერონ საჩივარი, რომ სახელმწიფოს მოვთხოვოთ კანონის ცვლილება მათთან მიმართებაში.

დარღვევები, რომლებიც საჯარო სკოლებში დისტანციური სწავლებისას გამოვლინდა

სახელმწიფო აუდიტის კიდევ ერთი სკანდალური დასკვნა

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტორები საჯარო სკოლებში დისტანციური სწავლებით დაინტერესდნენ. მიზეზი მარტივია, 2020 წელს, COVID-19-ის პანდემიამ მთელი მსოფლიო სრულიად ახალი რეალობისა და გამოწვევების წინაშე დააყენა. ბუნებრივია, ახალ რეალობას განათლების სისტემაც უნდა მორგებოდა, რის გამოც აუცილებელი გახდა სასწავლო პროცესის ვირტუალურ სივრცეში გადატანა და დისტანციური ფორმატის შემოღება. სახელმწიფო აუდიტის სამსახური დაინტერესდა, რამდენად ეფექტიანად წარიმართა საქართველოს საჯარო სკოლებში დისტანციური სწავლება. აუდიტი ჩატარდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო – USAID-ის მხარდაჭერით, აშშ-ის მთავრობის ანგარიშვალდებულების სამსახურის – GAO-სა და აუდიტის განვითარების ცენტრის – CAE-ს ექსპერტების ჩართულობით. როგორც მოსალოდნელი იყო, აუდიტის შედეგად, ის ნაკლოვანებები და ხარვეზები გამოვლინდა, რომლებიც გავლენას ახდენდნენ სასწავლო პროცესზე დისტანციურ ფორმატში. თუმცა აუდიტორები მხოლოდ ხარვეზების გამოვლენით არ შემოფარგლულან, მათ აღმოსაფხვრელად, უწყებამ რეკომენდაციებიც გასცა.

ძირითადი დარღვევები

ვიდრე ძირითად დარღვევებს განვიხილავთ, შეგახსენებთ, რომ COVID-19-ის პანდემით შექმნილი ვითარების გამო, 2020 წლის 21 მარტს, საქართველოში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. ზოგადსაგანმათლებლო დაწესებულებები დისტანციური სწავლების რეჟიმზე გადავიდნენ და საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, სამინისტრომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო:

„Microsoft office 365 Teams-ში, ყველა საჯარო სკოლის კლასებისა და საგნებისთვის ვირტუალური საკლასო ოთახები შეიქმნა; Microsoft Office 365-ის მომხმარებლის პროფილი 528 327 მოსწავლისა და 52 124 მასწავლებლისთვის შეიქმნა, რისთვისაც Microsoft Teams-ის ქართულ ენაზე ადაპტირება გახდა საჭირო; სატელევიზიო სივრცეში დაიწყო პროექტი „ტელესკოლა"; რაც მთავარია, „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში, დისტანციური სწავლება განისაზღვრა, როგორც სწავლების ერთ-ერთი ფორმა, დამტკიცდა დისტანციური სწავლების წესი, განისაზღვრა მოსწავლეთა ყოველდღიური დატვირთვა და სასკოლო საათობრივი ბადე; გაფორმდა მემორანდუმი ინტერნეტის პროვაიდერ კომპანიებთან, რომლის ფარგლებშიც, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს მობილური ინტერნეტის სპეციალური პაკეტები შესთავაზეს; 2020 წლიდან, მასწავლებელთა ყველა ტრენინგი ტარდებოდა ონლაინ, Teams-ის გამოყენებით. 2021 წელს, ამ პლატფორმაზე, სხვადასხვა საგნობრივი და ზოგადპროფესიული მიმართულებით, 38 424-მა მასწავლებელმა, ჯამში, 69 ტრენინგ-კურსი გაიარა. პანდემიის პირველ ეტაპზე, ყველა სკოლამ სწავლება ონლაინ-რეჟიმში განახორციელა, ხოლო ამის შემდეგ, ეტაპობრივად, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, რეგიონებისა და ქალაქების სკოლები, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, იხსნებოდა და იხურებოდა", – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

ვნახოთ, რა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა. დავიწყოთ იმით, რომ ქვეყნის მასშტაბით, მოსწავლეების გარკვეულ ნაწილს ხელი არ მიუწვდება დისტანციური სწავლებისთვის საჭირო რესურსებზე – კომპიუტერებსა და ინტერნეტზე. სამწუხაროდ, განათლების სამინისტრო ასეთი მოსწავლეების რაოდენობის შესახებ სრულ ინფორმაციას არ ფლობს.

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ 2017 წლიდან 2021 წლის ივლისის ჩათვლით, საჯარო სკოლებში დასაქმებული მასწავლებლების 42% არ იყო ჩართული საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით განხორციელებულ ტრენინგ-მოდულებში. 2017 წლიდან, ცენტრმა დაიწყო მასწავლებელთა გადამზადება კომპიუტერული უნარების განსავითარებლად. მიუხედავად ამისა, პანდემიამდე, ინფორმაციულ ტექნოლოგიებში გადამზადებული იყო 15 000 პედაგოგი, რაც მასწავლებელთა 27%-ია.

„დისტანციური სწავლების ერთ-ერთ ფორმად, საგანმანათლებლო პროექტი „ტელესკოლა" გამოიყენეს, რომელიც სკოლის მოსწავლეებისთვის, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტისა და პროგრამის მიხედვით, ტელე-გაკვეთილების ჩატარებას ითვალისწინებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ „ტელესკოლის" გაკვეთილები სრულად არ ფარავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ყველა სავალდებულო საგანს. შესაბამისად, ის მოსწავლეები, რომლებიც მხოლოდ „ტელესკოლით" იღებენ განათლებას, კონკრეტულ საგნებში, შესაძლოა, საგაკვეთილო პროცესის მიღმა დარჩნენ. ამავე პროექტი ფარგლებში, რეგიონების მიხედვით, იმ მოსწავლეთა რაოდენობას აღრიცხავენ, რომლებიც მხოლოდ „ტელესკოლით" იღებენ განათლებას, თუმცა პროექტის განმახორციელებელი უწყებები არ ფლობენ სრულ და უახლეს ინფორმაციას „ტელესკოლის" ნახვადობის სტატისტიკის შესახებ, სხვადასხვა პარამეტრის გათვალისწინებით, რაც აფერხებს პროგრამის შეფასებისა და მონიტორინგის პროცესს", – აღნიშნულია აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო მაკონტროლებლების მტკიცებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არ აქვს შემუშავებული სამოქმედო გეგმა, რომლითაც საგანგებო მდგომარეობის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები განისაზღვრება, რათა გაუთვალისწინებელმა მოვლენებმა, მომავალში, ნაკლები ზიანი მიაყენოს განათლების სისტემას. ამასთან, არ არის დანერგილი პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს პანდემიის გრძელვადიანი ეფექტებისა და დისტანციური სწავლების შედეგების პოტენციური გავლენის შეფასებას განათლების სისტემაზე. სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ პანდემიის მოკლევადიანი ეფექტები ნეგატიურად აისახა მოსწავლეთა შედეგებზე და ყოველივე ეს, მიუთითებს, რომ საგანგებო გეგმის შემუშავება აუცილებელია.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, „ასწავლე საქართველოსთვის" და „დისტანციური სწავლება" ემსახურება საერთო მიზანს – აღმოფხვრას მასწავლებელთა დეფიციტი მაღალმთიან რეგიონებში, თუმცა სწავლების წარმართვის ფორმა განსხვავებულია. ზოგადად, „დისტანციური სწავლების" ქვეპროგრამის განხორციელება, დაახლოებით, ოთხჯერ უფრო ნაკლები ფინანსური რესურსითაა შესაძლებელი და უფრო მეტი დეფიციტური კადრის მოძიებაც შეუძლია, რაც მოსწავლეებისთვის განათლების ხელმისაწვდომობას გაზრდის იმ შემთხვევებში, როდესაც რეგიონებში, კვალიფიციური კადრის მივლინება შეუძლებელია.

რეკომენდაციები

მას შემდეგ, რაც სახელმწიფო აუდიტორებმა საჯარო სკოლებში დისტანციურ სწავლებაში არსებული ხარვეზები და ნაკლოვანებები გამოავლინეს, მათ აღმოსაფხვრელად, შესაბამისი რეკომენდაციებიც გასცეს.

რეკომენდაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის – დისტანციური სწავლების სათანადოდ წარმართვისთვის, სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს იმ მოსწავლეების იდენტიფიცირება, რომელთაც ხელი არ მიუწვდებათ კომპიუტერსა და ინტერნეტზე. სანდო ინფორმაციის არსებობის პირობებში, უწყებამ უნდა განსაზღვროს მოწყვლადი ჯგუფებისთვის დისტანციურ სწავლებაზე ხელმისაწვდომობის გზები.

რეკომენდაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის – რესურსების პროდუქტიულად გამოყენების მიზნით, ლიცენზიები უნდა შეისყიდოს საჭიროების შეფასების საფუძველზე. მასწავლებლების/ადმინისტრაციული პერსონალისა და მოსწავლეების მიხედვით, ათვისების საპროგნოზო მაჩვენებლებზე დაყრდნობით, უნდა შემუშავდეს შესყიდული ლიცენზიების გააქტიურების გეგმა/გრაფიკი და შესაბამისად, მისი შესრულების უწყვეტი მონიტორინგი განხორციელდეს.

რეკომენდაცია სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისთვის" – მოსწავლეებისთვის ზოგადი განათლების შეუფერხებლად მიწოდებისა და დისტანციური სწავლების სათანადოდ განხორციელების მიზნით, უნდა შეფასდეს მასწავლებელთა სპეციფიკური საჭიროებები საინფორმაციო/კომპიუტერული ტექნოლოგიების სხვადასხვა უნარებში და მხოლოდ კონკრეტული მიმართულებების მიხედვით უნდა გადამზადდნენ.

რეკომენდაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის – უწყებამ უნდა მოიპოვოს ინფორმაცია პროექტ „ტელესკოლის" აუდიტორიის შესახებ, გააანალიზოს სტატისტიკური მონაცემები რელევანტური პარამეტრების მიხედვით და შეაფასოს მიზნის მიღწევის მაჩვენებლები. პროექტის გაგრძელების შემთხვევაში, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნები სრულად უნდა მოიცვას.

გარდა ამისა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, გაუთვალისწინებელი მოვლენების ზეგავლენის შემცირებისა და სისტემის სათანადოდ მზადყოფნის უზრუნველყოფის მიზნით, საგანგებო გეგმა უნდა შეიმუშაოს, რომლითაც განისაზღვრება ის ღონისძიებები და მათზე პასუხისმგებელი შესაბამისი უწყებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ზოგადი განათლების უწყვეტობასა და მდგრადობას. ამასთან, პროგნოზისა და ანალიზის საფუძველზე, უნდა შეფასდეს დისტანციური სწავლების შედეგები, მოსალოდნელი გავლენა და დაიგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია ცენტრსა და სამინისტროს – ყველა მოსწავლის ზოგადი განათლებით სათანადოდ უზრუნველყოფისა და რესურსების პროდუქტიული გამოყენების მიზნით, სისტემის სხვადასხვა ერთეულის კოორდინაციის საფუძველზე, იდენტიფიცირებულ უნდა იქნეს ყველა ის სკოლა და საგანი, სადაც არ არის პედაგოგი ან კვალიფიციური კადრის დეფიციტია. იმ პირობებში, როდესაც არ არის მივლინებული მასწავლებელი, ასეთ საგნებში, სათანადო პირობების უზრუნველყოფით, დისტანციური სწავლება უნდა განხორციელდეს.

სამართალი

№18 11 მაისი 2022 წ

დედინაცვალმა ახალგაზრდა გერი საკუთარი თავსაფრით გაგუდა

ბათო ჯაფარიძე

სისხლიანი სასკოლო ბანკეტის დეტალები

ადრე, სკოლის დამთავრების აღსანიშნავი ბანკეტი აუცილებლობა იყო. თითქმის გამორიცხული გახლდათ, სოფლად თუ ქალაქად, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს, ბოლო ზარის შემდეგ, ბანკეტი არ გაემართათ და არ მოელხინათ. მართლაც, საოცრად ლამაზები იყვნენ საგანგებოდ გამოწყობილი ბავშვები, რომლებიც ცხოვრებაში ახალ ეტაპს იწყებდნენ. მათ მასწავლებლები და მშობლები გზას ულოცავდნენ, შემდეგ კი იწყებოდა მზადება უმაღლესში ჩასაბარებლად, ტექნიკუმში წასასვლელად, სავალდებულო სამხედრო სამსახური – ავად თუ კარგად, ცხოვრების გზას ყველა იკვლევდა. რა თქმა უნდა, იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც შეძლებული მშობლები ჰყავდათ და მათი ბედი იმთავითვე გადაწყვეტილი იყო – სამედიცინოზე, იურიდიულზე ან საინჟინროზე აბარებდნენ. ჰო, ერთი პერიოდი, ინჟინრის პროფესია იმდენად საჭირო გახდა, რომ ყველა მას მიაწყდა. თანაკლასელებს შორის, იშვიათად, მაგრამ მაინც იყო ხოლმე გაბმული სიყვარულის ძაფები და არაერთი ოჯახიც შექმნილა. შეყვარებული წყვილი ერთმანეთს განსაკუთრებით ბანკეტის დღეს ეპრანჭებოდა...

ერთ-ერთი ასეთი ბანკეტის დროს, შეყვარებულმა წყვილმა იჩხუბა, გოგონა გაიბუტა, რადგან მისმა რჩეულმა ბიჭმა სხვა გოგონასთან იცეკვა, შემდეგ კი... აკოცა. ბიჭი ყველაფერს სიმთვრალეს აბრალებდა, ბოდიშს იხდიდა, მაგრამ განაწყენებული გოგო შენობიდან გავიდა, ბიჭი უკან გაჰყვა და მალევე უკან დაბრუნდა, ვერ შევაჩერეო, ამიტომ გოგონას უკან სხვა ბავშვების მშობლები გაჰყვნენ, თუმცა ვეღარ ნახეს. ბიჭმა თქვა, იქვე, წითელი ფერის მანქანა იდგა, მგონი, იმაში ჩაჯდა და სახლში წავიდოდაო.

მეორე დღეს, იმ შენობიდან, სადაც ბანკეტი იმართებოდა, დაახლოებით, ერთ კილომეტრში, გოგონა გარდაცვლილი ნახეს – გაგუდული იყო.

„გარდაცვლილს დედა ავარიით დაეღუპა და დედინაცვალი ზრდიდა. მამამისი საკმაოდ შეძლებული კაცი იყო, შვილს არაფერს აკლებდა, ახალგაზრდა ცოლსაც ანებივრებდა და ბანკეტზე მხოლოდ იმიტომ არ წავიდა, რომ როგორც შეძლებულ კაცს, არ სურდა, სხვა მშობლების თხოვნები მოესმინა, ჩემს შვილს დაეხმარე ჩაბარებაში, დიდი სანაცნობო გყავსო. მოკლედ, მან უსიამოვნო საუბრები აიცილა, სანაცვლოდ კი მიიღო ის, რომ გოგონა მოუკლეს, მაგრამ ვინ და რატომ, ამას ვერავინ ამბობდა“, – გვიყვება პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

შვილის გარდაცვალება მამამ უმძიმესად გადაიტანა, მისი მეუღლეც ნერვიულობდა, ბოლო ხმაზე კიოდა, ყველაფერს დავხარჯავთ, მაგრამ მკვლელს მაინც ვიპოვითო, თუმცა მთელი უბედურება იმაში იყო, რომ გამოძიებას ხელჩასაჭიდი არაფერი ჰქონდა. გოგონა რაღაც ზონარით გაგუდეს, მისი ფრჩხილების ქვეშ არ იყო ნარჩენი, რაც იმას ნიშნავდა, რომ მან წინააღმდეგობის გაწევა ვერ მოასწრო, თუმცა ეს იმაზეც მიანიშნებდა, რომ მკვლელს იცნობდა და არა მარტო უფლება მისცა ზურგიდან დამდგარიყო, არამედ, ვერ დაიჯერა, რომ შეიძლება, მოეკლათ.

გამომძიებლებმა ბანკეტის ყველა მონაწილე დაკითხეს, დაკითხეს ბიჭიც, რომელმაც გოგო ცოცხალი ბოლოს ნახა, მაგრამ საინტერესოს ვერაფერს მიაგნეს. სამაგიეროდ, ერთ-ერთმა მოსწავლემ გაიხსენა, რომ მეორე გოგონა, რომლის გამოც კონფლიქტი დაიწყო, სწორედ იმ პერიოდში, დაახლოებით, ერთი საათით გაქრა და ეს პერიოდი მკვლელობის დროს ზუსტად ემთხვეოდა.

„გოგონა, რომელმაც გარდაცვლილის შეყვარებულს აკოცა, პირადად დავკითხე. მან აღიარა, რომ ერთი საათი საპირფარეშოში იყო ჩაკეტილი, რადგან ბევრი სასმელი დალია, გული ერეოდა და მშობლებთან გამოჩენის რცხვენოდა. ამ ერთი საათის განმავლობაში, საპირფარეშოში გულს ირევდა, სახეზე წყალს ისხამდა, რომ გამოფხიზლებულიყო და შემდეგ წვეულებას დაუბრუნდა. საპირფარეშოს ჰქონდა ფანჯარა, საიდანაც გადაძრომა შესაძლებელი იყო და ჩარჩო გულდასმით დავათვალიერეთ. იქ ჩანდა ნაკვალევი ანუ ვიღაცამ ფანჯრით ისარგებლა, მაგრამ გოგონა ამტკიცებდა, მე არ გადავმძრვალვარ და საერთოდ, როცა იქ ვიყავი, ფანჯარა ბოლომდე შემოღებული მქონდა, რადგან ჰაერი მჭირდებოდა და მერე არც დამიხურავსო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ბანკეტის მონაწილეებს ახლიდან ჩამოუარეს, მაგრამ ერთმაც არ აღიარა, რომ ფანჯრიდან გადაძვრა. არადა, კვალი ახალი იყო და ვიღაც იტყუებოდა, ის ვიღაც კი შესაძლებელი იყო, მკვლელი თუ არა, მკვლელობის შემსწრე მაინც ყოფილიყო. გამომძიებელთა მუშაობას კიდევ ერთი ფაქტი ართულებდა – გოგონას მამამ მთელი თავისი რესურსი ჩართო, ვისაც ინობდა და არ იცნობდა, ყველა ჩარია და ახლა, ბანკეტის მონაწილეებს არა მარტო ძალოვნები, არამედ, კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებიც ჰკითხავდნენ. ეს კი დაკითხვის არასტანდარტულ და მკაცრ მეთოდებს ნიშნავდა, თუმცა სწორედ კრიმინალების დაკითხვის შედეგად გაირკვა, რომ საპირფარეშოს ფანჯრიდან ორი მოსწავლე გადაძვრა... მარიხუანას მოსაწევად, შემდეგ კი ისევ უკან გადმოძვრა. როგორც გაირკვა, მშობლები მკაცრად აკონტროლებდნენ, რომ ბავშვებს მარიხუანა არ მოეწიათ და შენობიდან გასვლის ნებას, პრაქტიკულად, არ აძლევდნენ. საბოლოოდ გაირკვა, რომ საპირფარეშოს ფანჯრიდან გადასულებს, მკვლელობასთან შეხება არ ჰქონდათ.

მკვლელობიდან, ღამის ორი თვე გავიდა და ძალოვნებს ხელიც ჰქონდათ ჩაქნეული, რადგან ეს იყო საქმე, რომელსაც გამოძიების პირი არ უჩანდა. სამაგიეროდ, გოგონას მამა არ ჩერდებოდა, მოსწავლეები ამბობდნენ, რომ კვირაში ერთხელ უკვე პირადად ჩამოუვლიდა ხოლმე და ყველა დეტალის გახსენებას სთხოვდა, განსაკუთრებით ბიჭს, რომელმაც გოგონა ბოლოს ნახა ცოცხალი და მას კონკრეტულად წითელ მანქანაზე ესაუბრებოდა და კიდევ იმაზე, ჩაჯდა თუ არა გოგონა ნამდვილად ავტომობილში და დაახლოებით, რომელი მოდელის ავტო იდგა.

ბიჭი კი დეტალებს ვერ იხსენებდა და ვერც იმას ამბობდა დაზუსტებით, ჩაჯდა თუ არა გოგო მანქანაში, მაგრამ ის კი აღიდგინა, რომ მანქანის წინა, მძღოლის კარი გაიღო და გოგონა კარს მიუახლოვდა. ძალოვნებისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ წითელი ფერის მანქანა გოგონას დედინაცვალს ჰყავდა, თუმცა იმ დროს, როცა მკვლელობა მოხდა, ავტომობილი სახელოსნოში იდგა, მისი სავალი ნაწილი დეტალურად იყო დაშლილი, რასაც ხელოსანიც ადასტურებდა და გამომძიებლებმაც მეორე დღეს ნახეს, რომ ასე ნაწილებად დაშლილი მანქანა არათუ არ დაიქოქებოდა, მის აწყობას მთელი დღე დასჭირდებოდა. ამით ისიც გამოირიცხა, რომ მანქანა აეწყოთ, მკვლელობის ადგილზე მისულიყვნენ, შემდეგ უკან სახელოსნოში დაბრუნებულიყვნენ და დაეშალათ.

„ხელი გვქონდა ჩაქნეული, როცა საკუთარი სახლის სადარბაზოში, გარდაცვლილის მამას თავში ბლაგვი საგანი ჩაარტყეს. მართალია, გადარჩა, მაგრამ ექიმები ამბობდნენ, ისე აქვს დაზიანებული ყველაფერი, რომც გადარჩეს, საუკეთესო შემთხვევაში, ეტლით ისარგებლებს, უარეს შემთხვევაში, ეტლში ჩაჯდომასაც ვერ მოახერხებსო“, – გვითხრეს ექიმებმა, თუმცა მათზე ბევრად საინტერესო რამე ექსპერტებმა თქვეს.

ექსპერტთა დასკვნით, თავში დაზარალებულს, სავარაუდოდ, რკინის ნაჭერი ჩაარტყეს, რომელსაც მანქანის ზეთი ჰქონდა და რაც მთავარია, ეს ზეთი სპეციფიური იყო, უცხოური, რომელიც საქართველოში მაშინ იშვიათად იშოვებოდა. გამომძიებლებმა უდიდესი სამუშაო ჩაატარეს და რამდენიმე სახელოსნოს მიაგნეს, სადაც ამ ტიპის ზეთს იყენებდნენ. ერთ-ერთი სწორედ ის სახელოსნო იყო, სადაც გარდაცვლილი გოგონას დედინაცვლის მანქანას აკეთებდნენ და ძალოვნებმა ჩათვალეს, რომ ეს შემთხვევითი არ იყო. დედინაცვალსა და ხელოსანზე ეჭვი გაძლიერდა, მაგრამ სამართალდამცავებს პირდაპირი მტკიცებულება არ ჰქონდათ, იმით კი, რაც გააჩნდათ, სასამართლოში ვერ წავიდოდნენ და თუ წავიდოდნენ, პროცესზე დამარცხდებოდნენ. ამიტომ, ქალიცა და ხელოსანიც ერთდროულად აიყვანეს და სხვადასხვა ოთახში დაკითხეს. ორივე მტკიცედ უარყოფდა მკვლელობასა და მკვლელობის მცდელობაში მონაწილეობას, განსაკუთრებით ქალი კაპასობდა, ქმარი მიკვდება და იმის ნაცვლად, საავადმყოფოში ვიყო და მის გადასარჩენად ყველაფერს ვაკეთებდე, აქ გყავართო.

„სხვა გზა არ იყო, ორი აღიარებითი ჩვენება დავწერეთ, თითქოს ქალი აღიარებდა დანაშაულს და ყველაფერს ხელოსანს აბრალებდა და პირიქით – ხელოსანი აბრალებდა ქალს მკვლელობის დაკვეთას. თუ რომელიმე ჩვენს ფანდზე წამოეგებოდა, საქმე გაიხსნებოდა. ქალს ჩვენება სასაციოლოდ არ ეყო, მის ნაწერს ვიცნობ, ეს თქვენ დაჯღაბნეთო. ესეც ერთგვარი აღიარება იყო, რატომ უნდა სცოდნოდა ქალს მანქანის ხელოსნის კალიგრაფია, მამაკაცი კი მაშინვე ავარდა, იმ ძუკნამ მოიფიქრა ყველაფერი, თავ-გზა ამირია, გოგონა პირადად მოკლა, კაცს მე ჩავარტყი, მაგრამ ხომ არ მომკვდარაო. ამ ჩვენების შემდეგ, ქალსაც სხვა გზა აღარ ჰქონდა და ყველაფერი დაფქვა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ქალი მანქანის ხელოსნის ძველი ნაცნობი და საყვარელი იყო. მას სიამოვნებით გაჰყვებოდა ცოლად, მაგრამ ქმარი არაფერს გაატანდა. ამიტომ, გადაწყვიტა ჯერ გოგონა მოეშორებინა თავიდან, შემდეგ კი ქმარი და ყველაფერი სწორედ ქმრის საქმიანობისთვის დაეკავშირებინა, შემდეგ მისი ბიზნესები გაეყიდა და მშვიდად გათხოვილიყო. გოგონას საბანკეტო დარბაზთან იმ იმედით ყარაულობდა, რომ იქიდან მთვრალი თუ არა, ნასვამი მაინც გამოვიდოდა, ან იღბლიანი შემთხვევის წყალობით, რამე მოხდებოდა, რასაც გამოიყენებდა და ეს „რამე“ მართლაც მოხდა. გოგონა საკუთარი თავსაფრით გაგუდა, თითქოს უსწორებდა და ანერვიულებულმა ბავშვმა აზრზე მოსვლა მაშინაც ვერ მოასწრო, როცა სუნთქვა შეეკრა. მანქანა დაშლილ მდგომარეობაში არ იყო, მის გარშემო, სხვა ავტომობილის ნაწილები ელაგა და ამას ყურადღება არავინ მიაქცია. როგორც ჩანს, ქმარმა რაღაც იეჭვა და სანამ ბოლოში გავიდოდა, მისი მოშორებაც გადაწყდა, თუმცა უშედეგოდ – ის გადარჩა. სასამართლომ მამაკაცს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ქალს – 12 წელი მისცეს, მამაკაცი კი... ამბობენ, საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ, დამ წაიყვანა სოფელში და ორი წელი უვლიდა ლოგინად ჩავრდნილ ძმას, მერე კი ის მაინც გარდაიცვალაო. ჰო, მთელი ქონება, სწორედ დას ერგო.

ბათო ჯაფარიძე

სიძემ ცოლისძმა მოკლა

კვიპროსზე გადარიცხული საბედისწერო 80 ათასი დოლარი და სისხლიანი გარჩევა თბილისში

სამწუხაროდ, საქართველოში ისეთი პერიოდიც იყო, როცა მილიციას (და მაშინ, სწორედ მილიცია ერქვა), შესაბამისი აღჭურვილობა კი არა, ფორმა, რომელიც უნდა სცმოდათ, უბრალოდ არ ჰქონდა. ამიტომ, სამართალდამცავები ბაზრობებზე ყიდულობდნენ შესაბამისი ფერის ქსოვილს, შემდეგ კი მკერავებთან დადიოდნენ და ფორმასაც იკერავდნენ. პრობლემა იყო სამსახურეობრივი მანქანები, მათში საწვავის ჩასხმა, ტაბელური იარაღისთვის ტყვიები... მოკლედ, ყველაფერი და „ყველაფერი" ეს, უახლეს ქართულ ისტორიაში, 90-იან წლებადაა შეტანილი. სწორედ იმ პერიოდში, რომელიღაც ამერიკელი კონგრესმენისა თუ სენატორის თავგამოდების შემდეგ, საქართველოს შს სამინისტროს ე.წ. ელექტროშოკერები და შოკერპისტოლეტები გადმოეცა. რაოდენობა იმდენი ნამდვილად არ იყო, ყველა განყოფილებას შეხვედროდა, ამიტომ... ისინი, უბრალოდ, სამინისტროში ჩაკეტეს, „ჯიგრულ-ქართულ" პონტში დაარიგეს, ან სულაც გაყიდეს ბიზნესმენებსა და იმ ადამიანებზე, რომლებსაც თუ სახლებში ამერიკული ნაწარმი (და სულ ერთი იყო, რა ნაწარმი) ექნებოდა, ეს პრესტიჟულად მიაჩნდა. ასე მოხვდა ძალოვნებისთვის გადაცემული შოკერები რიგითი ადამიანების ხელში და ზოგი მას სათუთად ინახავდა, ზოგს – გამოსაჩენ ადგილზე ედო, აგერ, რა მაქვსო. არა ერთმა და ორმა კი ცდა მაწანწალა ძაღლებსა და კატებზე ჩაატარა...

სწორედ ამ პერიოდში, მცირე კალიბრის ფირმები ყალიბდებოდა, ყველა რაღაცას „ჩალიჩობდა", ყველას ფულის შოვნა სურდა და ზოგი ამას გადარჩენისთვის აკეთებდა, ზოგიც – მართლაც დიდი კაპიტალის დასაგროვებლად. რა თქმა უნდა, სოლიდური კომპანიები თითზე ჩამოსათვლელი იყო და მცირე მეწარმეობა, ძირითადად, „ბუტკების" ჩადგმითა და წვრილმანი ვაჭრობით შემოიფარგლებოდა. იმ თაობამ, რომელიც 90-იანებს არ მოსწრებია, კარგად რომ აღიქვას, რა ხდებოდა, მარტივ მაგალითს მოვიტანთ – ერთ-ერთი „ბუტკის" წინ, მანქანა გაჩერდა, მძღოლმა 1 კოლოფი „მალბორო" და 1 ბოთლი „კოკა-კოლა" იყიდა, ჩაჯდა და წავიდა, ბირჟაზე მდგარმა ბიჭებმა კი შურით თქვეს, აუ, ნახე, ტიპს რა მაყუთი აქვსო. ჰო, კოლოფი „მალბორო" და „კოკა-კოლა" მაშინ სერიოზული თემა იყო და ლამის, ნახევარი საქართველო, სიგარეტს ღერებით ყიდულობდა. ჰოდა, ასეთ პირობებში, ერთ-ერთი, მეტ-ნაკლებად მსხვილი კომპანიის შეფის მკვლელობამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. საქმე ის გახლდათ, რომ მაშინ არც მკვლელობები იყო უცხო ხილი და ადამიანების გარდაცვალებასაც, სწორედ მაშინ მიეჩვია ერი, მაგრამ ასე, საკუთარი სახლის წინ, მანქანაში, კეფაში გასროლით მოკვლა, მაინც ძალიან ცუდად ჩანდა.

სამართალდამცავებს კატეგორიულად მოსთხოვეს საქმის გახსნა, მაგრამ ეს უფრო იმიტომ, რომ სხვებს დაენახათ, აგერ, ვმუშაობთო, რეალურად კი, საქმის გახსნის იმედი, პრაქტიკულად, არავის ჰქონდა, თუმცა...

გარდაცვლილი კომპანიას სიძესთან, დის ქმართან ერთად მაართავდა. ერთი აღმასრულებელი დირექტორი იყო, მეორე – კომერციული და ასე, შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ. ცოლის ძმის გარდაცვალება სიძემ უმძიმესად გადაიტანა, სამართალდამცავებს უთხრა, ჩემი ცოლი ანუ მოკლულის და, მეორე კვირაა, დასასვენებლად კვიპროსზეა წასული, მე ვერ ვეტყვი, ეგებ, თქვენ შეატყობინოთო. ძალოვნებმა, რაღა თქმა უნდა, უარი არ უთხრეს, კვიპროსელ სამართალდამცავებს როგორღაც დაუკავშირდნენ და მეორე დღესცე, გარდაცვლილის და თბილისში გადმოფრინდა. სხვათა შორის, ძიება სულ უიმედო არ იყო – მეზობლები ამტკიცებდნენ, მთელი დღის განმავლობაში, გარდაცვლილის სახლთან ვიღაც ბიჭი მოძრაობდა, სახლს წრეს ურტყამდა, თავზე ქუდი ჰქონდა ჩამოფხატებული და პერიოდულად რაღაც აბებს ყლაპავდაო. მილიციის თანამშრომლები არ გამორიცხავდნენ, რომ მკვლელი, შესაძლოა, სწორედ ის ყოფილიყო. მეორე დღეს კი ყოველგვარი ეჭვები გაქრა – განყოფილებაში კომპანიაში მომუშავე მდივანმა დარეკა კივილით, ჩემს შეფზე თავდასხმა მოხდა, დაჭრილიაო. ადგილზე მისულ სამართალდამცავებს კი წინ საინტერესო სურათი გადაეშალათ – წინა დღეს მოკლული ბიზნესმენის სიძე მხარში იყო დაჭრილი და სისხლისგან იცლებოდა, მის წინ კი ახალგაზრდა მამაკაცის გვამი ეგდო, რომელსაც... ელექტროპისტოლეტიდან ჰქონდა ნასროლი. სანამ სასწრაფო დახმარების ბრიგადა დაჭრილს წაიყვანდა, მან მოასწრო და სხაპასხუპით მიაყარა, ეგებ, ვერც გადავრჩე და ეს ტიპი შემოვიდა დილით ოთახში, იარაღი მომიშვირა, გაისროლა, სანამ მეორეს მესროდა, შოკერის სროლა მოვასწარი და არ მგონია, მკვდარი იყოს, შოკში იქნებაო.

ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ თავდამსხმელი სწორედ შოკერის მოქმედების შედეგად იყო გარდაცვლილი, მას გულის თანდაყოლილი მანკი ჰქონდა და შოკერის დარტყმას ვერ გაუძლო. იარაღზე მისი თითის ანაბეჭდები იყო და რაც მთავარია, მეზობლებმა გარდაცვლილში ამოიცნეს პირი, რომელიც კომპანიის დირექტორის მკვლელობის წინა დღეს, მის ეზოში იმყოფებოდა. ექსპერტმა ისიც დაასკვნა, რომ ორივე შემთხვევაში, გასროლა ერთი და იმავე იარაღიდან განხორციელდა.

სამართალდამცავები მხოლოდ იმაზე წუხდნენ, რომ თავდამსხმელი მკვდარი იყო და შემკვეთის ვინაობის დადგენა გაჭირდებოდა. არადა, ადვილი მისახვედრი გახლდათ, რომ შემკვეთი მათი კონკურენტი უნდა ყოფილიყო და მოჩხრიკეს კიდეც გამომძიებლებმა ეს მიმართულება, მაგრამ საინტერესოს ვერაფერს მიაგნეს. არავინ იყო ისეთი, ამ საქმეზე ხელი რომ მოეწერა და რაც მთავარია, ისე ჩანდა, რომ არც იმ დონის თანხები ტრიალებდა ამ კომპანიაში, კაცის მოკვლად რომ ღირდა, მაგრამ ფაქტი ის გახლდათ, რომ კონკრეტულმა ადამიანმა მოკლა ფირმის ერთი მფლობელი, თავს დაესხა მეორეს და ამას მოტივის ან დაინტერესების გარეშე არ გააკეთებდა. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ სამართალდამცავები თავდამსხმელის ვინაობას ვერ ადგენდნენ, იმ პერიოდში, საქართველოში მობილური ტელეფონები არ არსებობდა და შიდა მიგრაცია ძალიან დიდი იყო. ამიტომ, ადამიანები ოჯახის წევრებს თვეობითაც ეძებდნენ.

სამართალდამცავები პირველად მაშინ დაიძაბნენ, როცა ქმრის დასაფლავების შემდეგ, განყოფილებაში გარდაცვლილი დირექტორის და ანუ დაჭრილი დირექტორის ცოლი მივიდა და განაცხადა, რომ ეჭვი... საკუთარ ქმარზე ჰქონდა.

„კვიპროსში იმიტომ წავედი, რომ ჩემმა ძმამ მითხრა, შენი ქმარი რაღაცებს მაიმუნობს, მგონი, კომპანიის ფულის უდიდეს ნაწილს კვიპროსზე რიცხავს, ფინანსებში ბოლომდე ვერ ვერკვევი, ვერც ვიხედები და იქნებ, გაარკვიოო. ძმა ჩემთვის ყველაფერი იყო, მით უმეტეს, ქმართან შვილი არ მყავდა და ის ამაზე საერთოდ არ ნერვიულობდა, არც ექიმთან მიდიოდა, მოკლედ რომ ვთქვა, ეკიდა და ასე მგონია, ცოლადაც ძმის გამო მომიყვანა, კომპანიაში მეწილედ რომ შესულიყო. მგონია, ქილერი მან დაიქირავა", – განაცხადა ქალმა და ძალოვნებმაც ამ მიმართულებით ფიქრი და მოქმედება დაიწყეს.

რა ძნელი გამოსაცნობია, რომ მეუღლემ ყველაფერი უარყო, ცოტა კი ვიკამათეთ, მაგრამ ის მიზეზს ეძებდა და ახლა საუკეთესო მომენტი ჩაუვარდა ხელშიო. გაირკვა გადარიცხვების ოდენობაც, რომელიც კვიპროსში განხორციელდა და მათი საერთო რაოდენობა 80 ათას დოლარს აჭარბებდა, რაც ქართული სინამდვილისთვის ძალიან, ძალიან დიდი თანხა იყო. გამოძიება უფრო და უფრო მტკიცედ მიდიოდა ქალის მიერ ნათქვამი ვერსიისკენ, მაგრამ ისევ და ისევ გარდაცვლილი ახალგაზრდა ბიჭის ვინაობის გარკვევის გარეშე, ძნელი დასადგენი იყო, რეალურად, რა და როგორ მოხდა. ყველაფრი კი იმდენად მარტივად დალაგდა, გამოძიება ყველაზე თამამ ოცნებაშიც კი ვერ წარმოიდგენდა. მილიციის განყოფილებაში ახალგაზრდა ქალი მივიდა და განაცხადა, რომ საქმრო დაკარგა და სურათიც წარადგინა. საქმრო სწორედ ის ბიჭი იყო, რომელსაც ქილერობაში სდებდნენ ბრალს.

„მას გულის მანკი ჰქონდა, ამიტომ ოფიციალურად სამსახურში არავინ იღებდა, როცა იგებდნენ, რომ აღნიშნული დაავადება ჰქონდა, ყველა ერიდებოდა, მძიმე სამუშაოზე დაეტვირთა, კაბინეტს კი, რა თქმა უნდა, არავინ დაუთმობდა. ამიტომ, ისეთ სამსახურს ეძებდა, სადაც ფიზიკური დატვირთვა ნაკლებად მოუწევდა. სამი დღის წინ მითხრა, ახალი სამსახური დავიწყეო და მერე, უბრალოდ, გაქრა", – თქვა გოგონამ და ის მისამართიც დაასახელა, სადაც საქმრო ნაქირავებში ცხოვრობდა. სამართალდამცავები მაშინვე იქეთ გაეშურნენ და ჩხრეკა ჩაატარეს. მათ საბრძოლო მასალა არ უპოვიათ, სამაგიეროდ, იპოვეს დღიური, სადაც ბიჭი ჩანაწერებს ყოველდღიურად აკეთებდა. ბოლო ჩანაწერი კი ასეთი იყო:

„ახალი სამსახური დავიწყე, სრულიად შემთხვევით, ერთ-ერთ კომპანიაში მივედი, ვუთხარი, რომ გულის მანკი მაქვს და თუ ჰქონდათ რაიმე სამუშაო, რომელიც დიდ დატვირთვას არ მოითხოვდა, ვიმუშავებდი. ყველაფერი ეს, დირექტორმა მოისმინა, დეტალურად გამომკითხა და მითხრა, ერთმანეთს გვერდში უნდა დავუდგეთო და სამსახურში ამიყვანა. ორი დღე ტყუილად ვიარე, მესამე დღეს კი უცნაური დავალება მომცა, ერთ-ერთი კორპუსის ეზოში უნდა გამეტარებინა მთელი დღე, დილიდან საღამომდე, ყოველ საათში ერთხელ, ამ კორპუსზე წრე უნდა დამერტყა და უნდა ჩამენიშნა, რაიმე უცნაური თუ მოხდებოდა. ამ ერთი დღის სანაცვლოდ, 200 ლარს დამპირდა, ძალიან, ძალიან ბედნიერი ვარ, პირველი ხელფასის ასაღებად ხვალ მივდივარ"...

საბოლოოდ გაირკვა, რომ მოკლული ბიზნესმენის სიძე ძალიან კარგად იცნობდა ადამიანის ანატომიას, ზუსტად იცოდა, რომ შოკერის დარტყმას გულის მანკით დაავადებული ადამიანი ვერ გაუძლებდა, ამიტომ ის ჯერ ცოლის ძმის კორპუსთან დააყენა, რათა ყველას დამახსოვრებოდა, შემდეგ ცოლის ძმა თავად მოკლა, ბოლოს კი ბიჭს შოკერი ესროლა, იარაღი მხარში თავადაც დაიხალა და ყველაფერი გადასარევად მოაწყო, თუმცა... სასამართლომ მას ორი ადამიანის მკვლელობისთვის 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა იმასაც ამბობენ, ციხიდან მალე გავიდა, თავის წონა ფული გადაიხადა და საცხოვრებლად კვიპროსზე გადასახლდაო.

ბათო ჯაფარიძე

ალბათ, არ არსებობს ადამიანი, რომელიც ერთხელ მაინც ტყეში არ ყოფილა. რაც უფრო ღრმად შედიხარ ტყის მასივში, მით მეტი სიმშვიდე და სიწყნარეა, თუმცა ამავდროულად, უფრო მეტია შანსი, რომ ტყის სიღრმეში ცხოველს წააწყდე. საშიში ცხოველები საქართველოშიც არიან, შესაძლოა, ვინმემ არ იცის ამ პრობლემის შესახებ, მაგრამ ბოლო დროს, ქართულ ტყეებში ტურა გამრავლდა. გამრავლდა იმდენად, რომ ქართულმა ტურამ საზღვრებიც გადაკვეთა და მეზობელი სახელმწიფოებიც შეაწუხა. ხმაც კი დადიოდა, სოფლის მეურნეობის სამინისტრო ტურების დახოცვაზე ჯილდოს აწესებსო, მაგრამ ეს ხმა სამინისტროში პირადად გადავამოწმე და ამიხსნეს, რომ ტურის მოკვლა ისევე, როგორც სხვა გარეული ცხოველის, დასჯადია და საქართველოს კანონმდებლობით რეგულირდება ანუ ტურების ხოცვა-ჟლეტვა ისჯება და თუ ვინმეს ეუბნებიან, რომ ამ ქმედების ჩადენის შემთხვევაში, ფულად ჯილდოს მისცემენ, ტყუილია.

„სპეკულიანტის“ მკვლელობა ტყეში

რატომ იძია ახალგაზრდა მამაკაცმა შური ტექნიკუმის სტუდენტ გოგონაზე

სოკოზე წასული პენსიონერი ტყეში ისე ღრმად შევიდა, მიხვდა, ცხოველთან გადაყრის დიდი შანსი ჰქონდა და ამიტომ, უკან გამობრუნება დააპირა, მაგრამ მოულოდნელად, გასროლის ხმა გაიგო. გასროლა ახლოდან გაისმა და მოხუცი სროლის ხმას გაჰყვა, აინტერესებდა, მონადირეები იყვნენ ტყეში, ბრაკონიერები, თუ უბრალოდ, ვინმე ერთობოდა და მიზანში ესროდა. დაახლოებით, ასი მეტრის გავლის შემდეგ, მოხუცმა მიწაზე მწოლიარე გოგონა დაინახა, რომელსაც მკერდთან ნატყვიარი ეტყობოდა. კაცმა იქაურობა მანამ არ დატოვა, სანამ არ დარწმუნდა, რომ გოგონა მკვდარი იყო, შემდეგ კი უახლოეს ტელეფონთან მივიდა და განყოფილებაში დარეკა. სამართალდამცავები ადგილზე კი მალე მივიდნენ, მაგრამ რად გინდა, მოხუცს გზის გაგნება უჭირდა და სანამ მილიციის თანამშრომლებს გვამთან მიიყვანდა, ტყეში სამ საათზე მეტხანს ატარა.

გვამის გარშემო ტურები ირეოდნენ და სხეული დაზიანებულიც იყო, მაგრამ იმდენად არა, ამოცნობა შეუძლებელი ყოფილიყო. ექსპერტის ვარაუდით, ტურებმა სისხლის სუნი იგრძნეს, თორემ ასე მარტივად, ახლადგარდაცვლილ ადამიანს არ მიეკარებოდნენ.

„გოგონას სხეულზე სიცოცხლეში მიყენებული დაზიანებები ეტყობა – სავარაუდოდ, ხელით და ფეხითაც კი სცემეს, ხოლო სიკვდილის მიზეზი გულის არეში ნასროლი ტყვია გახდა. სროლა, მაქსიმუმ, ორი მეტრიდან განხორციელდა, გოგონა ან მიწაზე იწვა და ისე ესროლეს, ან ფეხზე იდგა და შემდეგ დაეცა. ტყვიის გულამ სხეული გაიარა. გოგონას კუჭში აღმოჩენილია ოქროს ბეჭედი, რომელსაც შიგნიდან „ლია“ აწერია“, – ეწერა ექსპერტის დასკვნაში.

გარდაცვლილი ადგილობრივი ტექნიკუმის სტუდენტი გახლდათ და როგორც მეგობრები ამბობდნენ, შემოსავალს არ უჩიოდა. შემოსავალი კი უცხოური ნივთების გაყიდვით ჰქონდა, რომელსაც რაღაც მანქანებით შოულობდა და თუ ბიჭებისთვის უცხოური სიგარეტი, ძირითადად, „ქემელი“ მოჰქონდა, გოგონებისთვის ევროპულ თეთრეულს „ჩითავდა“. არცთუ იშვიათად, ამერიკული ჯინსებიც ჰქონდა და ამიტომ, ყველასთვის სასურველი მეგობარი იყო, თუმცა სიტყვა „მეგობარი“ პირობითი გახლდათ – ვაჭრობის დროს, გოგონამ არ იცოდა დანდობა და მუშტარს ბოლომდე ფცქვნიდა. მართალია, მისი საქონელი ბევრს ეძვირებოდა, მაგრამ სხვაგან ყიდვა თითქმის შეუძლებელი იყო და სტუდენტებიც ბოლო კაპიკებს იხდიდნენ.

გამომძიებლებსაც, ლამის, მთელი ტექნიკუმის დაკითხვა მოუხდათ, რადგან, პრაქტიკულად ყველა, გარდაცვლილის მუშტარი გახლდათ და რაც მთავარია, არ არსებობდა ბიჭი, რომელსაც მისგან სიგარეტი ერთხელ მაინც არ ჰქონოდა შეძენილი. ბიჭებზე კი აქცენტი იმიტომ კეთდებოდა, რომ მოხუცმა, რომელმაც გვამი აღმოაჩინა, გაიხსენა, როდესაც სროლის ადგილისკენ მივდიოდი, მომეჩვენა, ვიღაცის სილუეტმა ჩამიქროლა და თუ არ ვცდები, ბიჭი იყოო.

მომხდარიდან მესამე დღეს, სამართალდამცავები შემთხვევის ადგილზე ისევ დაბრუნდნენ და მეტალოდეტექტორი მიიტანეს. მათი ვერსიით, დიდი იყო შანსი, რომ გოგონას ტყვია უკვე წაქცეულს ესროლეს და ასეთ შემთხვევაში, ტყვია მიწაში უნდა ყოფილიყო ჩარჩენილი. მასრა ადგილზე ვერ ნახეს და ორი ვარიანტი იყო – ან მკვლელმა წაიღო, ან გოგონას პისტოლეტიდან კი არა, რევოლვერიდან ესროლეს. გამომძიებლებისდა სასიხარულოდ, დეტექტორმა მალე დაიწრიპინა და ოპერმუშაკებმა მიწის თხრა დაიწყეს. ტყვიის გულა დიდ მანძილზე არ იყო ჩასული და იპოვეს – ის „მაკაროვის“ სისტემის იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ მასრა მკვლელმა წაიღო, ხოლო ტყვია... იმ „მაკაროვიდან“ იყო ნასროლი, რომელიც დაახლოებით, სამი წლის წინ, ერთ-ერთი უბნის ინსპექტორმა დაკარგა. მაშინ მას თავს დაესხნენ, თავში რაღაც ჩაარტყეს და ტაბელური იარაღი წაართვეს. ამ დრომდე, აღნიშნული იარაღი არცერთ საქმეში ფიგურირებდა და სამართალდამცავებმა იცოდნენ, თუ გახსნიდნენ მკვლელობას, იპოვიდნენ მათაც, რომლებმაც მათი კოლეგა გაძარცვეს.

ერთი შეხედვით, საქმე გაიოლდა, რადგან მეორე განყოფილებაში, მკვლელობამდე ორი კვირით ადრე, შეტყობინება შევიდა – ორმა ახალგაზრდამ ქუჩაში გოგონა დააყაჩაღა და იარაღის მუქარით, ოქროს გულსაკიდი და ბეჭედი წაართვა. ბეჭედი გოგოს სპეციალურად მისთვის, შეკვეთით ჰქონდა დამზადებული და შიგნიდან „ლია“ ეწერა. გარდაცვლილის კუჭიდან ამოღებული ბეჭედი დაზარალებულს ანახეს და მანაც სიხარულით ტაში შემოჰკრა, ჩემი ბეჭედია, როგორ მიხარიაო, თუმცა აუხსნეს, რომ ბეჭედი ჯერ კიდევ ნივთმტკიცება იყო და საქმის დასრულებამდე ვერ დაუბრუნებდნენ. სამაგიეროდ, მან კიდევ ერთხელ გაიხსენა, როგორ გაძარცვეს და ისიც თქვა, ერთ-ერთ თავდამსხმელს, ხელის თითებზე სვირინგი ჰქონდა, ასოები ეწერა და მართალია, ოთხივე ასო ვერ გავარჩიე, თუმცა „ე“ და „ა“ ნათლად დავინახეო. ძალოვნებმა ივარაუდეს, რომ თავდამსხმელს თითებზე „დედა“ ჰქონდა ამოტვიფრული და ეს აღმოჩენა არ მოეწონათ, რადგან ანალოგიური წარწერა, ლამის ყოველ მეორე კრიმინალს ჰქონდა. გამომძიებლები ისევ ტექნიკუმს მიადგნენ და როგორც იქნა, ერთ-ერთ სტუდენტს ათქმევინეს, რომ გარდაცვლილზე კბილებს დამამთავრებელი კურსის სტუდენტი ილესავდა, ცუდი ჯინსი შემომტენა, ამერიკული მარკა ჰქონდა გადარტყმული რაღაც რუმინულ ნაგავზე და 180 მანეთი ამახიაო. რა თქმა უნდა, ძალოვნებმა ბიჭი ადვილად იპოვეს.

„კი, გაბრაზებული ვიყავი, რადგან მომატყუა, მაგრამ მერე ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდა, ჯინსიც დამიტოვა და 180 მანეთიც დამიბრუნა, აგერ, კარადაში მიდევს, ხელი არ მიხლიაო“, – თქვა ბიჭმა და სამართალდამცავებს ფულიც ანახა და ჯინსიც. ოპერებმა ერთმანეთს გადახედეს და მიხვდნენ, რომ ბიჭს გოგონას მოკვლის მოტივი არ ჰქონდა და სახლი ჩუმად დატოვეს.

საქმე წინ ერთი ნაბიჯითაც არ მიდიოდა. ვერავინ ამბობდა, ბოლოს სად წავიდა გოგონა, ვის შეხვდა, როგორ აღმოჩნდა ტყეში, ვის შეიძლებოდა მოეკლა და რაც მთავარია, აბსოლუტურად ყველამ იცოდა, რომ ფულს შინ არ ინახავდა, თითქმის ყოველ მეორე დღეს, ბანკში მიდიოდა და თანხა ანგარიშზე შეჰქონდა. ეს კი დაყაჩაღებისა და ფულის გამოძალვის ვერსიას გამორიცხავდა.

გამომძიებლებს ვერსიები გამოელიათ და სწორედ ამ დროს, ერთ-ერთმა სტუდენტმა მილიციის თანამშრომლებს ანონიმურად უთხრა, იმ ბიჭს, რომელსაც უხარისხო ჯინსი მიჰყიდა, შარშან იარაღი ჰქონდა სასწავლებელში მოტანილიო.

გამომძიებლებმა პროკურორისგან მისი ბინის ჩხრეკის ორდერი მიიღეს და... იარაღი ვერ იპოვეს, თუმცა იპოვეს ოქროს გულსაკიდი და ეს სამკაული იმ გოგონამ ამოიცნო, რომელსაც ბეჭედთან ერთად, გულსაკიდიც წაართვეს. თითქოს ყველაფერი გაიოლდა, სამართალდამცავებმა მის გარემოცვაში ისეთი პიროვნების ძებნა დაიწყეს, რომელსაც თითებზე „დედა“ ეწერებოდა, მაგრამ ასეთს ვერავის მიაგნეს. სამაგიეროდ, ერთი საეჭვო მეგობარი აღმოაჩინეს და შინ მიადგნენ. კარი ახალგაზრდამ გააღო, ძალოვნები ძალიან მშვიდად შეიპატიჟა და როცა მის ხელს დახედეს, სახე გაუნათდათ – თითებზე „დედა“ არა, მაგრამ „გელა“ ეწერა. აკი, გოგონა ამბობდა, „ე“ და „ა“ გავარჩიეო. რა თქმა უნდა, ისიც მაშინვე დააკავეს და მისი ბინის ჩხრეკამ შედეგი ვერ გამოიღო, თუმცა ავტოფარეხში, „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი იპოვეს.

„როცა გოგონას ბეჭედი და ყელსაბამი წავართვით, მივხვდი, ვერ გავყიდდით, რადგან სპეციფიური იყო, ამოტვიფრული სახელით. გადადნობა გვინდოდა, მაგრამ მაგასაც სპეციალური აპარატურა სჭირდება. ვიფიქრეთ, დავაგროვებდით ოქროს და მერე ერთად გადავადნობდით. ჯინსის თემა ცუდად გამოეჩხირა, ის გოგო შინ დავიბარე და გავლახე, მაშინვე ამოილულღლუღა, ფულს დაგიბრუნებო და ჯინსიც, უბრალოდ, აღარ მივეცი. არ ვიცი, როდის და როგორ, მაგრამ ბეჭედი მომპარა. ეს მეორე დღეს აღმოვაჩნე და იმან კიდევ ულტიმატუმი წამიყენა, ბეჭედი თუ გინდა, ჩემი ფული უკან მომეცი, ზედ ერთი იმდენი დაამატეო. იმას ხომ არ ვეტყოდი, ნაყაჩაღარია-მეთქი, ასე ვუთხარი, საგვარეულო ბეჭედია და მნიშვნელოვანია-თქო. შეხვედრაზე მივედი, მშვიდად მინდოდა ბეჭდის გამორთმევა, ფულიც მივუტანე, მაგრამ როცა ჯიბიდან თანხა ამოვიღე და მივეცი, იქვე მითხრა, კიდევ უნდა დამიმატოო, თან ბეჭედი დამანახა. მეგობრის მანქანაში ჩავსვი, სახლში მივიდეთ, ფულს ავიღებ-თქო და ტყეში წავიყვანე. იარაღი თან მქონდა, მაგრამ მოკვლა არ მინდოდა, გამივარდა. რაც შეეხება ბეჭედს, ვერ ვიპოვე, არ ვიცი, სად დამალა, მანქანაც გადავატრიალეთ და ისიც გავჩხრიკეთ, სანამ ტყვია გავარდებოდა. ამბობდა, ბეჭედს დაგიბრუნებ, ოღონდ დღეს ვერაო, ძალიან ეშინოდა“, – განაცხადა დაკავებულმა.

ისიც გაირკვა, რომ სამი წლის წინ, უბნის რწმუნებულს იარაღი, სწორედ მათ წაართვეს, ნასავამებმა მოიფიქრეს, ასე მოქცეულიყვნენ, გამოფხიზლებულებს კი იარაღი ძალიან მოეწონათ და დაიტოვეს.

სასამართლომ ორივეს 12-12 წელი მიუსაჯა, თუმცა მკვლელს ციხიდან გამოსვლა არ ეწერა – ათწლიანი სასჯელის მოხდის შემდეგ, ტუბერკულოზით გარდაიცვალა. მეორემ კი... ციხე 8 წელიწადში, ვადაზე ადრე დატოვა.

ვახტანგ გომელაურმა მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან და მთავრობის წევრებთან ერთად, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო. „ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკში“ იმყოფებოდნენ პარლამენტის თავმჯდომარე და დეპუტატები, ასევე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი. ვახტანგ გომელაურმა პარკში მდებარე მელიტონ ქანთარიას ბიუსტი ყვავილებით შეამკო.

9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების 77-ე წლისთავი აღინიშნა.

სამეგრელოს პოლიციამ 3 715 აბი „სუბუტექსი“ და უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო – დაკავებულია ორი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტებზე ორი პირი – 1978 წელს დაბადებული დ.კ. და 1970 წელს დაბადებული კ.თ. დააკავეს.

დანაშაულები 7-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულების პირადი, საცხოვრებელი სახლებისა და ავტომობილების ჩხრეკის შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები, 2 პისტოლეტი და ვაზნები ამოიღეს.

დ.კ.-ის მიერ, ევროპიდან ჩამოყვანილი ავტომობილის ჩხრეკის შედეგად, ამოღებულია 3715 აბი „სუბუტექსი“, ხოლო კ.თ.-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას კი პოლიციამ ნარკოტიკული საშუალების ორი აბი და აბის სამი ნატეხი, 2 პისტოლეტი და 57 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 236-ე მუხლის მესამე ნაწილით მიმდინარეობს.

პოლიციამ თბილისში საპოლიციო ღონისძიების შედეგად ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციისა და თბილისის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების საფუძველზე, 1991 წელს დაბადებული გ.შ. და 1997 წელს დაბადებული ბ.შ. თბილისში, შუამთის ქუჩაზე, საპოლიციო ღონისძიების შედეგად დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მართვის უფლების არმქონე ბ.შ., მიმდინარე წლის 15 აპრილს, თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალის 39-ე კილომეტრზე, „ტოიოტას“ მარკის ავტომობილით, განზრახ შეეჯახა პოლიციელის ავტომანქანას და შემთხვევის ადგილიდან თანმხლებ პირებთან – გ.შ.-სთან და მ.ხ.-სთან ერთად მიიმალა.

ავტოსაგზაო შემთხვევის დროს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს სახაზო სამმართველოს უფროსმა, დავით მიქიაშვილმა ჯანმრთელობის დაზიანება მიიღო.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული საპოლიციო ღონისძიების შედეგად, პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებით, ბ.შ. შუამთის ქუჩაზე, ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში მდებარე ბინაში დააკავეს. მასთან ერთად, ასევე დაკავებულია გ.შ., რომელსაც ბრალად დანაშაულის შეუტყობინებლობა ედება.

ამავე სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში, პოლიციამ 5 მაისს, მ.ხ., დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით, ზუგდიდში დააკავა.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა და 376-ე მუხლებით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

ბათუმში, აჭარის მთავრობის სახლთან მიმდინარე საპროტესტო აქციაზე, სამართალდამცველებმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე და 166-ე მუხლების საფუძველზე, 25 პირი დააკავეს.

ბათუმის ქუჩებში, 8 მაისს, საღამოს დაწყებულ აქციაზე, პოლიციამ შეკრებილთა უფლებებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ყველა საჭირო ღონისძიება განახორციელა.

სამართალდამცველებმა უსაფრთხოების ზომების მაქსიმალური დაცვით უზრუნველყვეს აქციის მონაწილეთა მსვლელობა.

მოგვიანებით, აქციის მონაწილეებმა აჭარის მთავრობის სახლის წინ გაშალეს კარვები და გამოიწვიეს გზის სავალი ნაწილის ხელოვნურად ბლოკირება. კანონმდებლობის სრული დაცვით შეკრებილი ხალხის რაოდენობიდან გამომდინარე, პოლიციამ ბათუმის ქუჩებში შეზღუდა საგზაო მოძრაობა, ხოლო როდესაც აქციის მონაწილეთა რაოდენობა შემცირდა, გზის გადაკეტვის აუცილებლობა აღარ იყო და პოლიციამ უზრუნველყო საზოგადოებრივი წესრიგის, ასევე საგზაო მოძრაობის აღდგენა.

პოლიციის მხრიდან არაერთი მოწოდებისა და გაფრთხილების მიუხედავად, აქციის მონაწილეები არ დაემორჩილნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების კანონიერ მოთხოვნას გაეთავისუფლებინათ გზა, განაგრძეს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რის შემდეგაც ისინი დააკავეს.

დაკავებულთაგან ორი პირი ხელწერილის საფუძველზე გათავისუფლდა, ხოლო სხვა დაკავებულები დროებითი მოთავსების იზოლატორში არიან გადაყვანილნი.

ალექსანდრე დარახველიძე ევთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) დირექტორს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე დარახველიძე საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ, ევთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) დირექტორს, მატეო მეკაჩის შეხვდა.

შეხვედრაზე ალექსანდრე დარახველიძემ სამინისტროში განხორციელებულ იმ რეფორმებსა და ღონისძიებებზე გაამახვილა ყურადღება, რომლებიც ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის გატარებას, ასევე, გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას უზრუნველყოფს. მხარეებმა განიხილეს საგამოძიებო და საპროკურორო საქმიანობის გამიჯვნასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები.

ალექსანდრე დარახველიძემ და მატეო მეკაჩიმ ასევე ისაუბრეს სამინისტროსა და ადამიანის უფლებათა ოფისს (ODIHR) შორის თანამშრომლობის საკითხებზე. მინისტრის მოადგილემ ხაზი გაუსვა, რომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია ევთოს ინსტიტუტებთან ურთიერთობა და მომავალში აღნიშნული თანამშრომლობის გაღრმავების მზაობა გამოხატა.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ავსტრიის რესპუბლიკაში, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ევთოსა და ვენაში განლაგებულ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, ქეთევან ციხელაშვილი, ევთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) დირექტორის წარმომადგენელი ვენაში, სპეციალური მრჩეველი, პეტერ მოსოპი და სამართლებრივი საკითხების ოფიცერი, კარინ სიმონსენი.

შერმადინი ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულია

საქართველოს ეროვნული ნაკრების კალათბურთელი, გიორგი შერმადინი ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გახდა. მისმა „ტენერიფემ“ ფინალში ასევე ესპანური მანრესა 98:87 დაამარცხა და არსებობის ისტორიაში, საპატიო ჯილდო მეორედ მოიგო.

რაც შეეხება უშუალოდ გიორგის, მას გუნდის გამარჯვებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის და არა მარტო ფინალურ შეხვედრაში, არამედ, მთელი ტურნირის განმავლობაში, ის „ტენერიფეს“ გამორჩეული ლიდერი იყო. შემთხვევითი არ არის, რომ შერმადინი ტურნირის სიმბოლურ ხუთეულშიც დასახელდა.

მამარდაშვილი ზედიზედ მეორედ „გამეფდა“

ესპანეთის პრიმერა-დივიზიონის მორიგ ტურში, „ვალენსიამ“ ბილბაოდან ქულა წამოიღო. „სან მამესზე“ გამართული შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელად ანუ „კინგ ოფ მატჩ“, ზედიზედ მეორე ტურია, გიორგი მამარდაშვილს ასახელებენ. ქართველმა კიპერმა საოცრად ითამაშა და ორი ისეთი ბურთი აიღო, „მკვდარი“ რომ ეთქმის. რაღა თქმა უნდა, მისი მისამართით ქება არც ესპანურმა მედიამ დაიზარა, მაგრამ ახლა ყველა იმ საფრთხეზე ალაპარაკდა, რომელიც შესაძლოა, „ღამურებს“ სწორედ მამარდაშვილის გამო დაემუქროთ. საქმე ის გახლავთ, რომ გიორგის კონტრაქტში გამოსასყიდ თანხად 20 მილიონი ევროა ჩაწერილი და თუ ეს თანხა არ დაკორექტირდება, დიდი შანსია, გიორგი ამ ზაფხულსვე, რომელიმე დიდმა კლუბმა მარტივად წაიყვანოს, რაც „ვალენსიას“ არანაირად არ უნდა აწყობდეს.

თუმცა, თუ კონტრაქტის ეს მუხლი გადაიხედება, ავტომატურად უნდა გადაიხედოს მეკარის ჯამაგირიც, რადგან როცა ესპანელებმა გიორგი იყიდეს, მას მეოთხე მეკარისთვის განკუთვნილი ხელფასი დაუნიშნეს, ახლა კი ის არათუ ძირითადი კიპერი, არამედ, გუნდის ერთ-ერთი ლიდერია და აგერ, ბოლო ორ შეხვედრაში მოპოვებულ ქულებს ჟურნალისტები და ექსპერტები, სწორედ მას უმადლიან.

სოფია ბაღიშვილი 28 მაისს იჩხუბებს

ქართველი მებრძოლი სოფია ბაღიშვილი ევროპის საუკეთესო MMA ორგანიზაცია KSW-ში იჩხუბებს. სოფიამ კონტრაქტი უკვე გააფორმა და პირველი ბრძოლა 28 მაისს, გამოცდილი პოლონელის, 31 წლის ანიტა ბექუსის წინააღმდეგ ექნება. რაც ყველაზე საინტერესოა, სამი შეხვედრის მოგების შემთხვევაში, ბაღიშვილს შესაძლებლობა ექნება, ამ ორგანიზაციის ეგიდით, საჩემპიონო ქამრისთვის იჩხუბოს და მისი მოპოვების შემთხვევაში, UFC-მდე ანუ ყველაზე პრესტიჟულ ორგანიზაციამდე, ერთი ნაბიჯი დარჩება.

პროფესიულ რინგზე, ბაღიშვილმა ჯერ მხოლოდ 6 ბრძოლა გამართა, საიდანაც 5 მოიგო და მხოლოდ ერთში დამარცხდა.



„შავი ლომი“ პირველ ტიტულს დაეუფლა

9 თვის წინ დაარსებულმა ქართულმა სარაგბო კლუბმა – „შავი ლომი“ პირველი ტიტული მოიგო. თანაც როგორი ტიტული – ჩვენი გუნდი რაგბი ევროპის სუპერთასის გამარჯვებული გახდა. ფინალურ შეხვედრაში, ქართველებმა პორტუგალიური „ლუზიტანუში“ დაძაბულ ბრძოლაში, 17:14 დაამარცხეს.

„პირველი ქართული ფრენჩაიზი ძალიან მოკლე ვადებში შეიქმნა და არავის ეგონა, რომ ასეთ მოკლე პერიოდში შედეგი გვექნებოდა, მაგრამ ბიჭებმა თავი გადადეს, ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რათა გამარჯვებამდე მივსულიყავით და მივედით კიდეც. ახლა ცოტას დავისვენებთ და 13 მაისს, სამხრეთ აფრიკაში გავემგზავრებით, სადაც ივნისის ბოლომდე, ქარის თასის შეხვედრები გველოდება“, – განაცხადა „შავი ლომის“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ლევან მაისაშვილმა.

გვარდიოლა შამანებმა დაწყევლეს?

28 მაისს, პარიზში, ჩემპიონთა ლიგის ფინალში, ერთმანეთს „ლივერპული“ და „რეალი“ შეხვდებიან. მაშინ, როცა ყველას ეგონა, რომ ფინალში „მანჩესტერ სიტი“ გავიდოდა, როცა საპასუხო შეხვედრის 90-ე წუთზე, ხოსეპ გვარდიოლას გუნდი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ 1:0-ს იგებდა და არავის ეგონა, რომ დარჩენილ სამ წუთში, „რეალი“ სასწაულს მოახდენდა და ორ გოლს გაიტანდა, სასწაული მოხდა – „სამეფო გუნდმა ჯერ ორი გოლი გაიტანა და თამაში დამატებით დროში გადაიყვანა, შემდეგ კი მესამე გოლი შეაგდო და ფინალის საგზური მოიპოვა. ნამატჩევს, გვარდიოლამ მხრები აიჩეჩა, ალბათ, საკმარისად კარგი არ ვარ „სიტისთვის“, ლიგა ვერა და ვერ მოვიგეო, თუმცა ამის მიუხედავად, კლუბის ხელმძღვანელები მის გაშვებას არ აპირებენ, რადგან მანჩესტერული გუნდი მართლაც კარგ ფეხბურთს თამაშობს და ფეხბურთელებს მეტი კონცენტრაცია რომ გამოეჩინათ, ეგებ, ფინალის საგზურისთვისაც გამოეკრათ ხელი. ჰოდა, სწორედ მაშინ, როცა საფეხბურთო სამყარო უცნაური მარცხის მიზეზების გაგებას ცდილობდა, ყველაფერ ცნობილი კოტ დივუარელი ფეხბურთელის, იაია ტურეს აგენტმა, დიმიტრი სელუკმა „ახსნა“.

„2018 წელს, გვარდიოლამ ტურე „სიტიდან“ უბრალოდ გააგდო. მაშინ ვუთხარი, უსამართლოდ იქცევი და შესაძლოა, კოტ დივუარელმა შამანებმა დაგწყევლონ-მეთქი და ბევრი იცინა. არადა, მერე გავიგე, რომ კოტ დივუარში სპეციალური რიტუალიც ჩაატარეს და გვარდიოლა დაწყევლეს, რომ მან ვეღარასდროს მოიგოს ლიგა. შესაძლოა, ვინმეს ეცინება, მაგრამ ჯერჯერობით, წყევლა მუშაობს“, – განაცხადა სელუკმა.

სანდრო ბაზაძე ევროპაში პირველია

ესპანეთის დედაქალაქში, მოფარიკავეთა შორის, მსოფლიო თასის მორიგი ეტაპი დასრულდა. საქართველოს ნაკრების ლიდერი, სანდრო ბაზაძე ტურნირზე ერთ-ერთ ფავორიტად იყო ჩასული და საბოლოო ჯამში, მესამე ადგილს დასჯერდა. ბრინჯაოს მედლის მიუხედავად, მსოფლიო თასზე დაგროვილი ქულები ბაზაძეს რეიტინგში დასაწინაურებლად ეყო და ის მსოფლიოში მესამე ნომერია. საინტერესოა, რომ პირველ ორ ადგილს სამხრეთ კორეელი მოფარიკავეები იკავებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ბაზაძე ევროპის კონტინენტზე საუკეთესო მოფარიკავედაა აღიარებული.

რაც შეეხება უშუალოდ შეჯიბრს, სანდრომ ჯერ ამერიკელ დერშვიცს მოუგო (15:10), შემდეგ ტუნისელი ფერჯანი დაამარცხა (15:11), ბრიტანელ უილიამ დეარს მარტივად გაუსწორდა (15:6) და გერმანელი კოლინ ჰიჩკოკთან რთული ბრძლის მოგების შემდეგ (15:14) ნახევარფინალში გავიდა, სადაც იტალიელ ლუკა კურატოლისთან მინიმალური სხვაობით წააგო (14:15) და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. ტურნირის გამარჯვებული კი, ზემოთხსენებული სამხრეთ კორეელებიდან ერთ-ერთი, სანგუკ ოჰი გახდა.

იაპონიის ნაკრები თბილისში მოდის



იმის მიუხედავად, რომ ადრე, იაპონიის ეროვნული ნაკრები თბილისის ძიუდოს ტურნირზე სიხარულით ჩამოდიოდა და აქ გამარჯვება მათთვის პრესტიჟული იყო, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ეს ტრადიცია დაირღვა. იაპონელები საქართველოში ჩამოსვლაზე უარს ამბობდნენ, აქაოდა, თქვენი ტურნირი მარტშია, იაპონიის შიდა ჩემპიონატი – აპრილში და აბსოლუტურად ყველა სწორედ შიდა პირველობისთვის ემზადებაო. ჰოდა, პანდემიის გამო, წელს, მარტში გასამართი ტურნირი 2-5 ივნისისთვის გადაიტანეს და იაპონიიდანაც დასტური მოვიდა – საქართველოში ხუთ ძიუდოისტს გამოვუშვებთო.

რა თქმა უნდა, არ გვაქვს იმის ილუზია, რომ ხუთივე ძიუდოისტი იაპონიის ნაკრების პირველი ნომერი იქნება, მაგრამ რადგან ყინული დაიძრა, იმას ნიშნავს, რომ მომდევნო წლებში, იაპონელები თბილისის გრანდ-სლემს ძველებურად, ყურადღებით მოეკიდებიან და რაც მთავარია, ფედერაციაც იზრუნებს იმაზე, რომ ჩატარების თარიღი არა მხოლოდ იაპონიას, არამედ, სხვა ძლიერ ქვეყნებსაც მოარგოს.

ალკარასმა საჩოგბურთო ისტორია გადაწერა

19 წლის ესპანელმა ჩოგბურთელმა, კარლოს ალკარასმა მადრიდის მასტერსზე ნამდვილი სასწაული მოახდინა. მან ჯერ თანამემამულე, რაფაელ ნადალი დაამარცხა, შემდეგ რეიტინგის პირველ ნომერს, ნოვაკ ჯოკოვიჩს სძლია, ფინალში კი ალექსანდრ ზვერევს (რეიტინგის მესამე ნომერი) ორ სეტში – 6:3, 6:1 პატარა ბავშვივით მოუგო.

ალკარასი გახდა ყველაზე ახალგაზრდა ჩოგბურთელი, რომელმაც ერთ ტურნირზე, ტოპ-ხუთეულის სამ ჩოგბურთელს მოუგო და რაც მთავარია, გახდა პირველი ჩოგბურთელი, რომელმაც ერთმანეთის მიყოლებით შეძლო ნადალისა და ჯოკოვიჩის დამარცხება.

„ალკარასს ყველაფერი აქვს საიმისოდ, რომ ჩოგბურთის ისტორიაში გახდეს ყველაზე დიდი. ერთი შეხედვით, წარმოუდგენელია, ისეთ გიგანტებს აჯობო, როგორებიც ნადალი, ჯოკოვიჩი და ფედერერი არიან, მაგრამ ალკარასი სულ რაღაც 19 წლისაა და ავტორიტეტებს უკვე აღარ სცნობს“, – წერენ ამ სფეროს ექსპერტები. ახლა, მთავარია, მან მხოლოდ ჩოგბურთზე იფიქროს და ჩოგნის ქნევით ნაშოვნ რამდენიმე მილიონ დოლარს არ დასჯერდეს.



ნიკორწმინდა, ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან

ქვათა მატიანე

აქ რომ ჩუქურთმაა!..

ქვემო რაჭა

გელა ქოქიაშვილი

„ფრთები, ფრთები გინდა,
კიდევ ფრთები გინდა,
გინდა დაეუფლო
სივრცეს ნიკორწმინდა“

გალაკტიონი

ეს მართლაც რა ჰქმნა გალაკტიონმა ?!.

მე რომ ამქეყნად მოვდიოდი, სწორედ იმხნად უმღერა ნიკორწმინდას, და უმღერა ისე, რომ სხვებს, თავისდაუნებურად, ღვთის სახლზე ლექსების წერის ხალისი დაუკარგა.

აი, ახლაც ვდგავარ ნაირ-ნაირი გადამღები ტექნიკით ჯორაკიდებულ ჩემს კოლეგებთან ერთად ტაძრის წინ და გძნეულ ჩუქურთმებით მოჯადოებულს ძლივს ჩამესმის ოპერატორების ხმა:

საიდან დავიწყოთ?

საიდანაც გენებოთ, – ვუპასუხებ, – სულერთია ...

რა ვქნა, დიდი პოეტო? მომიტევე, რამეთუ მე პროზაულად მომიწევს მკითხველთან საუბარი.

მოდით, სამკაულებზე ჯერ ნუ ვისაუბრებთ და ტაძარს პროექტის თავალით შევხედოთ. ნიკორწმინდა აშკარად განსხვავებული ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა – იგი ექვსაბსიდიანი ტაძარია, რომელიც ფასადურად ოთხმკლავაა, ოღონდ ეს მკლავები მოკლეა და ძნელად შესამჩნევი. მსგავსი აღნაგობის ტაძარი (ბუნებრივია, სხვადასხვა მოცულობის) ქართული ქრისტიანული არქიტექტურის წიაღში კიდევ ხუთჯერ გვხვდება: ოლთისსა და გოგიუბაში (ამჟამად თურქეთის საზღვრებშია), ბოჭორმაში (ისტორიულ კახეთში), კუმურდოში (ჯავახეთში) და კაცხში (ისტორიულ მარგვეთში). მიუხედავად ექვსაბსიდიანობისა, ყველა ეს ტაძარი და ბუნებრივია „ნიკორწმინდაც“, სხვა ფორმებითა და დეტალებით ერთმანეთისგან მაინც განირჩევა. აი, მაგალითად: „ნიკორწმინდა“ ყველაზე მეტად, თითქოს, „კუმურდოს“ რომ ჰგავს, მისგან მაინც განსხვავდება როგორც შიდა სივრცის აღქმით, ისე კარ-სარკმელების განლაგებით და ა.შ. „ნიკორწმინდა“ ყველაზე მეტად, თითქოს, კაცხის ტაძარს უნდა ჰგავდეს, რომელიც მასთან ტერიტორიულად ყველაზე ახლოსაა და მისი თანატოლია (1010 – 1014წწ), მაგრამ დაკვირვებული თვალი აქ კიდევ უფრო მეტ სხვაობას აღმოაჩენს.

ნიკორწმინდის გუმბათქვეშა სივრცე

ახლა რაც შეეხება ფასადებისა და ინტერერის მხატვრულ გაფორმებას: ჩუქურთმების თუ სიუჟეტური რელიეფების შესაფასებლად მორგებული იქნება სამხრეთ ფრონტონში არსებული კომპოზიციის სახელი „მეორედ მოსვლა“. ამ და სხვა რელიეფურ პანოებში ქანდაქარი დიდი ოსტატობით გადმოსცემს ფიგურათა ხასიათს და მათ ურთიერთდამოკიდებულებას. გიორგი ჩუბინიშვილის მოსაზრებით ნიკორწმინდის ჩუქურთმებსა და რელიეფურ პანოებს სამი ოსტატი კვეთდა ხუროთმოძღვრის დავალებით. მათ ინტენსიურად აქვთ ათვისებული არა მარტო კედლების სივრცობრივი სიბრტყე, არამედ კარებისა და სარკმლების გარშემოწერილობები, გუმბათის ყელი და კარიბჭეთა კამარა-გუმბათები, სადაც ფანტასტიური ფრინველები „ფაზკუჯი“, „სირაქლემა“, „ქათამვეშაპა“ ჩაბუდებულან.

ძალზე დახვეწილია დასავლეთ კარის ტიმპანის კომპოზიცია: აქეთ-იქით წმ. გიორგი და წმ. თევდორე, ხოლო შუაში – მაცხოვარი. სწორედ ამ ტიმპანს შემოუყვება ნახევარწრიულად მთავარი, ქტიტორული წარწერა ასომთავრულით: **„ქრისტე – ძეო ღმრთისაო, ადიდე სიმრთელით და დღეგრძელობით შენ მიერ გვირგვინოსანი ბაგრატ აფხაზთა და რანთა მეფე და ქართველთა კუროპალატი და გაზარდე ძე მათი გიორგი ნებისა შინა შენისა, მეოხებითა წმიდისა მღდელთმოძღუარისა ნიკოლოზისაითა“.** დასავლეთის კარიბჭის დასავლეთ კედლის 4-სტრიქონიანი წარწერა გვეუბნება:

„ ძელი ცხოვრებისაი, წმინდაო ნიკოლოზ, მეოხ ეყავ წინაშე ღმრთისა კახაბერსა და რატის, ამინ !“. აქვეა კიდევ ერთი წარწერა: **„წმინდაო ნიკოლოზ მღდელთ მოძრუარო, მეოხ ექმენ წინაშე ღმრთისა დედოფალთ – დედოფლისა ე ვ ფ ე მ ი ა ს, ასულსა სულკურთხეულისა ერისთავთ-ერისთავისა რატისა, ამინ“;** უშუალოდ ტაძრის დასავლეთ მკლავის სარკმელთან წერია: **„წმინდა ნიკოლოზ, შეიწყალე გიორგი მოძღუარი ამის წმიდისა ეკლესიისაი“.** ტაძრის შიგნით, იატაკზე არის ადრე ტაძრის კედელში ჩასმული ქვა წარწერით: **„წმინდაო, ნიკოლოზ, მღვდელთ მთავარო, მეოხ ექმენ და მფარველ წინაშე ღმრთისა ნიანიას ერისთავთ ერითავსა და ნოველისიმოსს“.**

სამწუხაროდ შემონახული აღარაა ხუროთმოძღვრისა და ქანდაქარების (მოქანდაკეების) სახელები. მაგრამ ჩვენ შემორჩენილ წარწერებში გავერკვეთ: მეფე ბაგრატი გაერთიანებული საქართველოს პირველი ქრისტიანი მეფე ბაგრატ მესამეა, ძე მისი გიორგი კი მომდევნო მეფე გიორგი. აშკარაა, რომ ეს მთავარი სამშენებლო და ქტიტორული წარწერაა. ბაგრატ მესამის ტიტულატურიდან გამომდინარე ტაძარი, 1010-1014 წლებითაა დათარიღებული. ეს თარიღი ეჭვს შემდეგი გარემოების გამო იწვევს: იგივე 1010-1014 წლებით ათარიღებენ ბაგრატ III – ის მიერ აგებულ მეორე ექვსაბსიდან ტაძარს („მაცხოვარს“) მეზობელ მარგვეთში – კაცხში; მაგრამ იქაურ წარწერაში ბაგრატის ტიტულატურა უფრო ვრცელია: მეფე აფხაზთა, ქრთველთა, რანთა და კახთა. სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ „ნიკორწმინდა“ კაცხის „მაცხოვარზე“ ერთი-ორი წლით ადრე უნდა იყოს აშენებული.

მე-2 წარწერაში უტიტულოდ მოხსენიებული კახაბერი და რატი ბაღვაშთა შტოს წარმომადგენლები არიან და რაჭის ერისთავთა სახლს წარმოადგენენ. წარწერაში ნახსენები კახაბერი რაჭის პირველი ერისთავის, ბიზანტიელებთან შირიმნის ომში 1021 წ-ს დაღუპული რატი ლიპარტის ძე ბაღვაშის ვაჟია, მან ახალ დინასტიას – კახაბერისძეების გვარს დაუდო სათავე. მის გვერდით არსებული სახელი რატი კახაბერის ძეს, პატარა რატის, გულისხმობს. მე-3 წარწერაში მოხსენიებული დედოფალთ = დედოფალი ეფემია რატი პირველის, სულკურთხეულის (ომში დაღუპულის) ქალიშვილი, და ამდენად, კახაბერის დაა. მე-4 წარწერაში ყველაფერი ნათელია, აი , მე-5 წარწერაში კი ნიანია ერისთავთ-ერისთავი, რომელსაც ამავე დროს ბიზანტიის მაღალი სამოხელეო წოდება – ნოველისიმოსიც ჰქონია, განმარტებას მოითხოვს. XI ს-ში ამ სახელის ორი პიროვნებაა ცნობილი და ისინი თითქმის ერთმანეთის თანამედროვენი არიან. პირველი მათგანი ლიპარტ IV ბაღვაშის – კლდეკარის (და ერთხანს მთელი ქართლის) ერისთავის ვაჟია, მეორე – დასავლეთ საქართველოს უძლიერესი ერისთავი. სავარაუდოდ, წარწერაში ნახსენებია ლიპარტის ძე ნიანია, რომელიც მამასთან ერთად, ბიზანტიის თავდადებული მებრძოლი იყო და ამასთანავე კახაბერიძეებს ენათესავებოდა. აქედან გამომდინარე, „ნიკორწმნდის“ ერთ-ერთი კაპიტალური შეკეთებისას იატაკში ჩასმული ეს წარწერანი ფილა იმ შვერილაბსიდიანი (შვიდწახნაგოვანი) ეკვდერის ერთ-ერთი კედლის კუთვნილება უნდა ყოფილიყო, რომელიც XI საუკუნის 40-50 წლებში მიუშენებიათ ტაძრის სამხრეთ მკლავზე, კარიბჭის აღმოსავლეთით. საინტერესოა ისიც, თუ რატომ არ მოიხსენიება მე-2 წარწერაში ერისთავის ტიტულით კახაბერი, მაშინ როცა მე-3 წარწერაში არსებული მისი და ევფემია დედოფალთ-დედოფალია? ეს იმაზე ხომ არ მიგვანიშნებს, რომ დასავლეთის კარიბჭე (იგი თავდაპირველად ჩარდახის ფორმისა ყოფილა) 1021 წლის მერე, ანუ ნეიშნის ომში რაჭის პირველი ერისთავის რატის დაღუპვის შემდეგ არის აშენებული, როცა კახაბერი ჯერ კიდევ მცირეასაკოვანი იყო და საერისთავოს საქმეებს მისი უფროსი და ევფემია განაგებდა?

ნიკორწმინდის ისტორია გვიან შუასაუკუნეებში უკავშირდება კიდევ ერთ საგვარეულოს – **წულუკიძეებს**, რომელთაც ნაწილობრივ აღუდგენიათ და უფრო კიდევ მეტად მოუხატვინებიათ ტაძარი, მაგრამ ჩვენ ჯერ კახაბერისძეთა კვალს უნდა გავყვეთ.

ბაღვაშთა რატისეული ფრთა რაჭაში XI საუკუნის დასაწყისში დაადგინა ერისთავებად ბაგრატ III -მ. საქმე ისაა, რომ ლიპარიტ III -ს და მის ძეს რატი I -ს მეფემ 989 წელს ძალის გამოყენებით ჩამოართვა კლდეკარის საერისთავო და ისინი ძველ მამულში – მარგვეთში დააბრუნა. ამის შემდეგ ბაგრატ მეფეს რატიზე გული მოუბრუნდა და ახალშექმნილ რაჭის საერისთავოს ჩაუყენა სათავეში. არის მოსაზრება, რომ ისინი, სანამ მინდაციხეს დაიკავებდნენ და იქვე ბარაკონის საგვა-

ნიკორწმინდის რელიეფები

ნიკორწმინდა, სამხრეთ ფრონტონი: „მეორედ მოსვლა“

რეულო ტაძარს ააგებდნენ (მისი ნაშთები საძირკველის სახით ბარაკონის ახალი ეკლესიის სიახლოვეშია შენარჩუნებული), მანამდე პატარა ონში დასახლდნენ. ეს ის სოფელია, სადაც თავდაპირველად, დაეფუძნენ იუდეას ლტოლვილები, რომლებიც შემდგომში ამჟამინდელ ონში გადაბარგდნენ. ერთი სიტყვით, მარგვეთიდან (კაცხიდან) რაჭაში გადასულ რატის სახლს ბინა პატარა ონში, საერისთავოს დასავლეთ საზღვართან, დაუდევს და იქ ორი ეკლესია აუგია: „წმინდა ნიკოლოზი“ რაკეთის უბანში და „წმინდა გიორგი“ – ოდნავ მოშორებით. „წმინდა ნიკოლოზი“ სოფლის იმ კონცხზე დგას, რომელიც ჩრდილოეთით რაიონის ხეობას გადაჰყურებს, ხოლო დასავლეთით შარაულას. ეკლესია (7,4 X 3,6მ) ნაგებია შირიმისა და ქვიშაქვის თლილი კვადრების მონაცვლეობით (აღდგენილია გასულ საუკუნეში მ. დვალის მიერ). მას დასავლეთიდან და სამხრეთიდან მინაშენები ჰქონია, რომლის ჩუქურთმიანი ქვები საყდრის წინ, ეზოს დასავლეთ მონაკვეთშია მიწყობილი ... ტაძრის დანარჩენ, აღდგენილ სხეულზე დასავლეთისა და სამხრეთის კარების ტიმპანები თუ სარკმელთა საპირეები ლამაზი რელიფური კომპოზიციებითა და ჩუქურთმებითაა შემკული. წარწერებიდან შემორჩენილია მხოლოდ ერთი, რომელიც აღმოსავლეთ ფრონტონში, ჯვრის არეალშია ამოკვეთილი: **„წმინდა ნიკოლაოზ, საკვირველმოქმედო და მფლობელო ყოველთა საუკუნეთაო, მფარველ ექმენ ყოველთა დღეთა ცხვოვრებისა მათისათა კახასა და ადელაიდას, რომელთა აღაშენეს წმიდაი ეკლესიაი ესე და შეუნდევ ყოველნი ცოდვანი მათნი ამინ ...“**

პატარა ონი, რაკეთის „წმ. ნიკოლოზი“

პატარა ონი, „წმ. გიორგის“ წარწერა

საყდარს ჰქონია ლამაზი კანკელი, რომელზეც, ჯერ კიდევ ექვთიმე თაიყაიშვილის დროს გადაღებული ფოტოებიდან, იკითხება რამდენიმე ფრაგმენტი და მათ შორის სახელი „კახა“.

„წმ გიორგი“ ოდნავ მოზრდილი (8,2 X 7,4მ), მაგრამ ფორმით წმ. ნიკოლოზისდარი ეკლესიაა. გიორგი ბოჭორიძეს რომ უნახავს, იგი შიგნითაც და გარეთაც კირით ყოფილა შელესილი. ახლა ასე არაა: რესტავრაციის დროს ჩამოქცეული კედლების ქვები გაუსუფთავებიათ, მაგრამ მისი სამკაულიანი ქვებისათვის თავდაპირევლი ადგილი ვერ უპოვნიათ და ტაძრის ჩრდილოეთ კედელში მთელ გაყოლებაზე ჩაულაგებიათ. „წმ. გიორგის“ დასავლეთ კარის ტიმპანს, შემონახული აქვს ქტიტორული წარწერა: **„წ. ქრისტე“ ღმერთო , მფლობელო ყოველთა საუკუნეთაო, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისათა, წმიდისა ნიკოლაოზისითა და წმიდა გიორგისითა, აღხოცენ ყოველნი ბრალნი მათნი ერისთავ კახასა და ადელაიდა დიოფალი და შვილნი მათნი ყოველნი დაიცვენ ყოველთაგან სავნებელთა, რომელთა აღაშენეს კარიბჭე ... ესე“.** ეს წარწერა „წმ ნიკოლოზის“ მოშლილი კარიბჭისა ხომ არ იყო, და რესტავრატორებს აქ ხომ არ გადმოუტანიათ ძველადო, – ფიქრობს გ. ბოჭორიძე, მაგრამ ასე არ უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მასში წმ. გიორგის არ მოიხსენიებდნენ. რაც შეეხება ტექსტში „წმ. ნიკოლოზის“ არსებობას ეს ამ წმინადანისადმი კახაბერიძეთა განსაკუთრებულ მოწიწებაზე მიანიშნებს, და კიდევ: **ორივე ტაძრის წარწერების შეჯერება იმას გვეუბნება, რომ ისინი 1021 წლამდეა აშენებული, კარიბჭეები კი 1021 წლის შემდეგ მოუდგამთ, ოღონდ კონკრეტულად რომელ წელს, დაუდგენელია. ეს იმიტომ, რომ პირველ წარწერაში კახა უტიტულოდაა მოხსენიებული, მეორე, საყდრის კარიბჭის, წარწერაში კი იგი ერისთავია.**

კახაბერიძეთა ისტორია როგორც ნათელი ისე ბნელ-მწარე მოვლენებითაა აღსავსე, მაგრამ ამაზე, თუ სიტყვა მოიტანს, სხვა რომელიმე წერილში ვისაუბრებთ.

ფეხსაცმელი წყალმცენარეებისგან შექმნეს

ამერიკელმა სწავლულებმა სან-დიეგოდან, მსოფლიოში პირველებმა, ბიოხრწნადი ფეხსაცმელი შექმნეს. ის ჩვეულებრივი ფეხსაცმლისგან არაფრით განსხვავდება გარდა იმისა, რომ მცენარეული მასალისგანაა შექმნილი. კვლევებსა და ექსპერიმენტებზე სპეციალისტებმა ექვსი წელი გახარჯეს, ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ წყალმცენარეების საწვავად გარდაქმნაზე მუშაობდნენ, ხოლო შედეგად - ბიოხრწნად პენოპოლიურეთანამდე მივიდნენ, რომელსაც ფეხსაცმლის ლანჩის დასამზადებლად იყენებენ. სწავლულებმა გადაწყვიტეს, რომ ისეთი ფეხსაცმელი შეექმნათ, რომელიც 100%-ით ეკოლოგიური იქნებოდა. მკვლევარები აღიარებენ, რომ მათი პირველი პოლიურეთანის მასალები საკმაოდ დაბალხარისხიანი იყო, მაგრამ მრავალრიცხოვანი ცდების შემდეგ, მისი გაუმჯობესება შეძლეს.

ოფისში, მაგიდის ქვეშ მუშაობს

ისრაელში მცხოვრებმა ქალმა, მინი მაიერმა სოციალური ქსელების მომხმარებლები გააოცა, როცა განაცხადა, რომ ოფისში, მაგიდის ქვეშ მუშაობს. მისი თქმით, ამ ფორმით ის ყურადღების გადამტან ფაქტორებს ებრძვის, რაც სამუშაო პროცესში ხელს უშლის. როცა სამსახურში ხმაური იწყება, ნოუთბუქთან ერთად, ის ყოველთვის მაგიდის ქვეშ აფარებს თავს. კოლეგები ვერაფრით შეეჩვივნენ ამ მოვლენას, ამიტომ ყოველ ჯერზე, გაოცებულები ადევნებენ თვალს უცნაურ თანამშრომელს. სტრესი, მაღალი ხმები, წარუმატებელი შეხვედრა, მძიმე პროექტი - ყველაფერი ეს, მაიერს იზოლაციისკენ უბიძგებს.

„მშვიდად ვმუშაობ მაგიდის ქვეშ იქამდე, ვიდრე ჩემი ზურგი არ მაგრძნობინებს, რომ უკვე 36 წლის ვარ“, - ხუმრობს ებრაელი ქალბატონი.

პლანეტის უხუცესი ქალი გარდაიცვალა

იაპონელი ქალბატონი კანე ტანაკა, რომელიც 2019 წელს, პლანეტის უხუცეს ადამიანად აღიარეს, 119 წლის ასაკში გარდაიცვალა. ტანაკა 1903 წელს დაიბადა, გადაიტანა ორი მსოფლიო ომი და ხუთი იმპერატორის მმართველობას მოესწრო. უხუცესი იაპონელი ფუკუოკას პრეფექტურაში, მოხუცებულთა თავშესაფარში ცხოვრობდა. იანვარში მას 119-ე დაბადების დღე მიულოცეს. როგორც თავად ქალბატონი ტანაკა ამბობდა, ყველაზე მეტად გაზიანი სასმელები და შოკოლადი უყვარდა. 2019 წელს, როგორც პლანეტის უხუცესი მცხოვრები, გინესის რეკორდების წიგნშიც კი მოხვდა.

ერთ კომპანიაში მუშაობით რეკორდი დაამყარა

ბრაზილიელი უოლტერ ორტმანი, ერთ კომპანიაში 84-წლიანი მუშაობის სტაჟით, გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა. 100 წლის უოლტერი, კომპანია Industrias Renaux SA-ში, 1938 წელს მივიდა, როცა ჯერ კიდევ 15 წლის იყო. კარიერა მამაკაცმა მიწოდების განყოფილებაში, თანაშემწის პოზიციაზე დაიწყო. წლების განმავლობაში, გაყიდვების მენეჯერის თანამდებობას მიაღწია. ამ 84 წლის განმავლობაში, ორტმანი მთელ მსოფლიოში მოგზაურობდა და ხელფასს ცხრა სხვადასხვა ვალუტაში იღებდა. წელს, უოლტერი ოფიციალურად შეიყვანეს გინესის წიგნში, ერთ კომპანიაში ყველაზე ხანგრძლივი დროის მუშაობის გამო. მიუხედავად ასაკისა, ორტმანი პენსიაზე გასვლას ჯერ კიდევ არ გეგმავს. მისი თქმით, ახლა მუშაობა გაცილებით იოლია, მთავარია, გქონდეს მობილური ტელეფონი და ინტერნეტი - საქმეს მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან გააკეთებ.

ბექჰემი მეფუტკრეობამ გაიტაცა

ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი და დიდი ოჯახის მამა, დევიდ ბექჰემი მეფიტკრეობით დაინტერესდა. ოჯახთან ერთად, ის დიდ დროს ატარებს კოტსვოლდსში მდებარე აგარაკზე, სადაც სიმშვიდით ტკბება და თან ფუტკარიც მოაშენა. ფეხბურთელი ამ საქმით პანდემიის დროს დაინტერესდა და შეიძლება ითქვას, რომ ახლა, მეფუტკრეობითაა შეპყრობილი. ბექჰემის ეს ჰობი უკვე გადაიზარდა სრულფასოვან ბიზნეს-პროექტში. ვარაუდობენ, რომ ფეხბურთელის თაფლის წარმოებას უკვე წელსვე დაიწყებენ. ბექჰემის მეურნეობის პროდუქტის პირველი გულშემატკივარი, მეუღლის - ვიქტორიას გარდა, მისი ახლო მეგობარი, ტომ ბრედია, რომელიც სუპერმოდელ ჟიზელ ბუნდშენის ქმარია. „მომიტანე თაფლი“ - მიუწერა მან დევიდს ფოტოზე. ტომი დარწმუნებულია, რომ დევიდის თაფლი ისეთივე კარგი იქნება, როგორც თავად ფეხბურთელი, რადგან „ნიჭიერი ადამიანი, ყველაფერში ნიჭიერია“.

დედოფალს "ბარბის" თოჯინა მიუძღვნეს

კომპანია Mattel-მა, რომელიც ბავშვებისთვის საყვარელ ბარბის თოჯინებს უშვებს, სათამაშოს შეზღუდული სერია - ბარბი-Queen წარადგინა. საპატიო თოჯინა, რომელიც დიდი ბრიტანეთის დედოფლის გამოსახულებაა, ტახტზე ელისაბედ მეორის ასვლის "პლატინის იუბილეს" მიეძღვნა. თოჯინას ელეგანტური, სპილოსძვლისფერი კაბა აცვია - ცისფერი ლენტით. ცოტა ხნის წინ, დედოფალი 96 წლის გახდა. ის ტახტზე 1952 წლის 6 თებერვალს ავიდა, გვირგვინი კი 1953 წლის 2 ივნისს დაიდგა.

საკვების ჩხირები მის გემოს ცვლის

იაპონიის მეიძის უნივერსიტეტის მკვლევარებმა, კომპანია Kirin Holdings-თან ერთად, საკვების ჩხირები შექმნეს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია საკვების გემოს შეცვლა. სწავლულები ამტკიცებენ, რომ ელექტროსტიმულაცია მარილის გემოს, დაახლოებით, 1.5-ჯერ აძლიერებს. მაჯაზე დამაგრებული მინი-კომპიუტერი, ჩხირების საშუალებით, გადასცემს ნატრიუმის იონებს საკვებიდან პირში და მარილიანობის გაძლიერებულ შეგრძნებას ქმნის. სპეციალისტები აცხადებენ, რომ ასეთი მოწყობილობა იმ ადამიანებს დააინტერესებთ, რომლებსაც მოხმარებული მარილის შემცირება სურთ, მაგრამ ვერაფრით ჭამენ უმარილო და უგემურ საკვებს.

ციტრუსისგან ეკოსათვალეს აწარმოებენ

ესპანელმა სწავლულებმა ხილის ნარჩენებისგან პლასტმასის მიღების მეთოდი შეიმუშავეს, რომელსაც ეკოლოგიურად სუფთა სათვალეების წარმოებისთვის გამოიყენებენ. ქვეყნის სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომლები სამი წლის განმავლობაში მუშაობდნენ ამ საკითხზე. მათი განცხადებით, ეკოლოგიურად სუფთა პლასტმასი ციტრუსების ნარჩენების ფერმენტაციის შედეგად მიიღება. სწავლულთა გათვლებით, მიღებული პროდუქტი შესაფუთ და საავტომობილო ინდუსტრიაშიც შეიძლება გამოიყენონ. ესპანელი მეცნიერების კვლევები იმ დიდი პროექტის ნაწილია, რომლის მიზანიც ბიომასალის წარმოების, მომზადებისა და გადამუშავების პროცესის გაუმჯობესებაა.

წიგნების კითხვა – საალდგომო ტრადიცია



უჩვეულო საალდგომო ტრადიცია აქვთ ნორვეგიაში - ადგილობრივები ამ დროს წიგნებს კითხულობენ. თუმცა მხიარულ ან სათავგადასავლო რომანებს კი არა, არამედ, სისხლიან მკვლელობებზე შექმნილ დეტექტივებს. ასეთ წიგნებს სკანდინავიელები საგანგებო სახელს - Påskekrims-ს ანუ საალდგომო დეტექტივებს ეძახიან. ეს უცნაური ტრადიცია სათავეს გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან იღებს. 1923 წელს, აღდგომამდე ერთი კვირით ადრე, ერთ-ერთმა ნორვეგიულმა გაზეთმა, ქალაქ ბერგენის რკინიგზაზე, მატარებელში მომხდარ ყაჩაღობაზე დაწერა. რეალურად, სტატია ახალი დეტექტივის ერთგვარი რეკლამა იყო, თუმცა გაზეთის მკითხველებმა ის ნამდვილ ამბად მიიჩნიეს. ასე რომ, დაანონსებულმა წიგნმა დიდი ყურადღება მიიქცია და მალე ბესტსელერადაც იქცა. რომანში, რომლის სახელწოდებაცაა Bergenstoget plyndret i natt ("წუხელ ბერგენის მატარებელი გაძარცვეს"), მოქმედება საალდგომო პერიოდში ხდება. ეს წიგნი დღეს პირველ საალდგომო დეტექტივად და ნორვეგიული უნიკალური ტრადიციის დასაწყისად მიიჩნევა.

13 წლისამ უნივერსიტეტი დაამთავრა

აშშ-ში, ქალაქ სენტ-ლუის-პარკში მცხოვრებმა 13 წლის ელიოტ რობ ტენერმა მინესოტის უნივერსიტეტი დაასრულა. ბიჭუნამ გადაწყვიტა, ხარისხი დაიცვას და პროფესორი გახდეს - ის ახლა, ფიზიკის ფაკულტეტზე სწავლას დაასრულებს და ბაკალავრის ხარისხს მიიღებს. ელიოტის შემდეგი მიზანი დოქტორის ხარისხის მოპოვებაა. ამ ვუნდერკინდი ბავშვის დედის თქმით, ელიოტმა კითხვა 2-3 წლის ასაკში, დამოუკიდებლად ისწავლა. 9 წლისა, კოლეჯის წიგნებს კითხულობდა, ორი წლის შემდეგ კი ნორმანდეილის საზოგადოებრივი კოლეჯი დაასრულა.

ჭიქა ღვინო ერთსაათიან ვარჯიშს გაუთანაბრეს

კანადის ალბერტას უნივერსიტეტის სწავლულებმა გაარკვიეს, რომ ერთი ჭიქა წითელი მშრალი ღვინის დალევა ისეთივე სასარგებლოა, როგორც სავარჯიშო დარბაზში გატარებული ერთი საათი. სასმელის ასეთი დადებითი გავლენა ორგანიზმზე, რასაკვირველია, რესვერატროლის დამსახურებაა. ეს ბუნებრივი ფიტოალექსინი ამაღლებს შრომისუნარიანობას, აუმჯობესებს გულის მუშაობას, ამაგრებს კუნთებს, რაც არსებითად, სპორტდარბაზში ვარჯიშის ტოლფასია. რესვერატროლი არეგულირებს სისხლში შაქრის დონეს და ანტიასაკობრივი ეფექტიც აქვს. იმ ადამიანებს, რომლებიც დღეში ერთ ჭიქა წითელ მშრალ ღვინოს მიირთმევენ, ნაკლებად ემუქრებათ ასაკობრივი ჭკუასუსტობა, ონკოლოგიური დაავადებები და მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტი. კანადელმა სწავლულებმა, ჯერჯერობით, კვლევები მღრღნელებზე ჩაატარეს და ასეთი შედეგები მიიღეს. შემდეგი ეტაპი იქნება ექსპერიმენტი მოხალისეთა სატესტო ჯგუფზე, რომელთაც დიაბეტი აქვთ.

პორტში ზღვის პუდინგს ყიდიან

თევზის პორტი, ალბათ, ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილია, სადაც ადამიანმა შეიძლება დახვეწილი დესერტი ნახოს. თუმცა იაპონიის პორტი ნუმაძუში, რომელიც პუდინგის სპეციალური მაღაზია Numazu Deep Sea Pudding Factory-ია, შესაძლებელია, უჩვეულო ტკბილეულობა გასინჯოთ. დაწესებულების განსაკუთრებული სიამაყის საგანს წარმოადგენს, ეგრეთ წოდებული, "ღრმაწყლოვანი ზღვის" პუდინგი. დესერტი, სახელწოდებით - Deep Sea Pudding, შედგება კრემისფერი ნაღების ფენისგან, რომელიც ოკეანის ფსკერს განასახიერებს, ზემოდან დაფარულია ღია ლურჯი ფერის ჟელეთი, რომელსაც იაპონური გაზიანი სასმელის - Ramune გემო აქვს, სწორედ ეს ფენა ღრმა ლურჯ ზღვას განასახიერებს. პუდინგი თავსახურიან შუშის ქილებშია და მისი შთამბეჭდავი გარეგნობის წყალობით, ის დიდი პოპულარობით სარგებლობს მყიდველებში.

გამოყენებულ პირბადეს სარგებელი მოუძებნეს

კორონა-პანდემიის გამო, პლანეტის მოსახლეობამ უამრავი რაოდენობის პირბადე მოიხმარა და ჯერ კიდევ ძალაშია მისი გამოყენების ვალდებულება. ნახმარი ნიღბები ნაგავში იყრება და გარემოსაც აბინძურებს. ამერიკელმა სწავლულებმა ვაშინგტონის უნივერსიტეტიდან, მას სარგებელი მოუძებნეს - პირბადეებს ბეტონის სიმტკიცის ასამაღლებლად გამოიყენებენ. მათ დაამტკიცეს, რომ ასეთი ბეტონის სიმტკიცე 47%-ით მაღალი იქნება, ვიდრე ჩვეულებრივის. სპეციალისტებმა გაარკვიეს, რომ ბეტონი ნაკლებად დაიბზარება, თუკი მას ჩასხმამდე დაუმატებენ უმცირეს ბოჭკოებს. მკვლევარებმა გამოყენებული პირბადეების ქსოვილი დააქუცმაცეს 5-დან 30 მმ-მდე ზომის ბოჭკოებად და შემდეგ ის დაამუშავეს გრაფენის ოქსიდით.

„ეს ტექნოლოგია საშუალებას გვაძლევს, გამოყენებული პირბადეები, ნარჩენების ნაცვლად, სასარგებლო ნედლეულად ვაქციოთ“, - აცხადებენ კვლევის ავტორები.

მარილის მოხმარება იმუნურ სისტემას აქვეითებს

მარილის ჭარბმა მოხმარებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს არა მხოლოდ სისხლის წნევის კრიტიკული მატება, ინფარქტისა და ინსულტის რისკის ზრდა, არამედ, შეიძლება იმუნიტეტის დაქვეითების მიზეზიც გახდეს, - გვაფრთხილებენ გერმანელი სწავლულები, ბონის უნივერსიტეტიდან. კვლევებისას, მოხალისეები, გარდა ჩვეული მოხმარებისა, დამატებით, 6 გრამ მარილს იღებდნენ ყოველდღიურად. დაახლოებით, ამ რაოდენობის მარილს შეიცავს ორი ჰამბურგერი და ორი პორცია კარტოფილი-"ფრი". უკვე ორი კვირის შემდეგ, ასეთი რაციონის გამო, იმუნური უჯრედები ბაქტერიებს გაცილებით ცუდად უმკლავდებოდნენ. მარილის მომატებულმა რაოდენობამ მკვეთრად გამოხატული იმუნოდეფიციტი გამოიწვია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, დღეში 5 გრამზე მეტი მარილის მიღება არ არის სასურველი.

კიტრი ინფექციების წინააღმდეგ

ყველასთვის ნაცნობი და საყვარელი პროდუქტი - კიტრი, სასარგებლო საკვებია არა მხოლოდ ზაფხულში, არამედ, ის ადამიანის რაციონის განუყრელი ნაწილიც უნდა გახდეს ინფექციური დაავადებების ეპიდემიის დროს. კიტრი შეიცავს ძლიერ ანტიოქსიდანტებს, რომელიც ორგანიზმს ეხმარება საშიში თავისუფალი რადიკალებისგან დაცვაში. კიტრის მოხმარებამ გაციების, გრიპის, კორონავირუსის ეპიდემიის დროს, შესაძლოა, ორგანიზმს ძლიერი დახმარება გაუწიოს და დაავადების წინააღმდეგ მისი ბრძოლისუნარიანობა გაზარდოს, - აღნიშნავენ სპეციალისტები. კიტრი მოქმედებს, როგორც შარდმდენი საშუალება და ხელს უწყობს ორგანიზმიდან ტოქსინების გამოდევნას. ეს ბოსტნეული შეიცავს კუკურბიტაცინებს - ნაერთებს, რომელიც მას ერთგვარ სიმწკლარტეს ანიჭებს. სწორედ ეს ნივთიერება უწყობს ხელს ნივთიერებათა ცვლის და სისხლში შაქრის დონის რეგულირებას. კიტრშია სტეროლებიც, რომლებიც ქოლესტერინის დონეს აქვეითებენ.

ძველ ტანსაცმელს ანახლებენ

პოპულარულმა ბრენდმა H&M-მა, რომელიც ტანსაცმელს აწარმოებს, ახალი ტექნოლოგია დანერგა, რომლის წყალობითაც ძველი ტანსაცმლის განახლება ხდება. შვედურმა კომპანიამ ტექსტილის გადამამუშავებელი ახალი მანქანა Loop წარადგინა, რომელიც ძველ ტანსაცმელს ანაწევრებს, შემდეგ კი ქმნის ქსოვილს, რომლითაც ახალი ტანსაცმელი იკერება. დანადგარი არ გამოიყენებს წყალს და ქიმიკატებს, რაც ქსოვილის წარმოებას ეკოლოგიურს ხდის. ამიერიდან, სტოკჰოლმის მოსახლეობას შეუძლია, ძველი ტანსაცმელი ჩააბაროს, რაშიც მათ კომპანია 11-დან 16 დოლარამდე გადაუხდის. ამ ძველი ტანსაცმლისგან, სულ რაღაც ნახევარ საათში, ახალი ქსოვილი მიიღება.

დუბაი კიდევ ერთ „საოცრებას“ გვპირდება

არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, დუბაიში, მაღალსიჩქარიანი საბაგირო გზის გაკეთებას გეგმავენ. საბაგიროს მოძრაობის სიჩქარე საათში 150 კილომეტრი იქნება. ერთ საათში, ეს სატრანსპორტო საშუალება 8 400 მგზავრს გაატარებს. საბაგირო ტრასაზე 21 გაჩერება იქნება, რომლებიც ქალაქის „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან“ წერტილებს ერთმანეთთან დააკავშირებს. აღსანიშნავია, რომ საბაგიროს ვაგონები ხუთჯერ ნაკლებ ენერგიას მოიხმარენ, ვიდრე ელექტრომობილები.

მჯდომარე მუშაობის „სასიკვდილო დოზა“



ბრაზილიელი მკვლევარების მოსაზრებით, ერთ ადგილზე დიდხანს ჯდომა, კერძოდ, მუშაობის დროს, ასევე, მისგან გამომდინარე ნაკლები მოძრაობა სიცოცხლის „დამოკლების“ სერიოზული ფაქტორია. როგორც სწავლულებმა დაასკვნეს, ზოგჯერ, სწორედ ეს ფაქტი იწვევს ადამიანების სიკვდილს. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ლეტალური შედეგების, დაახლოებით, 4% გადაჭარბებული მჯდომარე სამუშაოსა და ასეთი ცხოვრების წესის „დამსახურებაა“. ბრაზილიელებმა სკამზე ჯდომის „სასიკვდილო ლიმიტის“ განსაზღვრაც შეძლეს, რომლის გადაჭარბებაც ნეგატიურ გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე. პირიქით, დროის შემცირება სიცოცხლის გახანგრძლივებას უწყობს ხელს. ციფრების ენაზე რომ ვთქვათ, ადამიანს შეუძლია, სიცოცხლე 0.2 წლით გაიხანგრძლივოს, თუ ის მჯდომარე პოზაში ყოფნას დღეში სამ საათამდე შეამცირებს. სწავლულები ასეთ დასკვნამდე ბოლო 15 წლის სიკვდილიანობის სტატისტიკის შესწავლით მივიდნენ, რომლის დროსაც, მათ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემები გამოიყენეს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.